საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 17-18 მარტი. 2021 წ. №55-56 (9174-9175) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

თვითმკვლელი ოპოზიციის გადარჩენის ერთადერთი გზა პარლამენტში შესვლაა!

ნოდარიკო მელაძემ

4

ამაზრზენი ტყუილებით ნიკუტას გაუსწრო!

ირაკლი ღარიბაშვილი: მადლობას ვუხდით ბელგიას საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერისთვის!

„მძღნდა სასიამოვნო შეხვედრა ალექსანდერ დე კროსთან. ბელგია არის საქართველოს ერთგული მეგობარი და სანდო პარტნიორი“, — ამის შესახებ, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელ **Twitter**-ზე წერს.

მთავრობის მეთაური აღნიშნავს, რომ შეხვედრაზე ხაზი გაესვა შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკური და ეკონომიკური დიალოგის მნიშვნელობას.

„ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნეთ თანამშრომლობის შემდგომი ინტენსიფიკაციის, ასევე, შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკური და ეკონომიკური დიალოგის მნიშვნელობა. მადლობას ვუხდით ბელგიას საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერისთვის და ამ მხრივ შეტანილი წვლილისთვის“, — წერს პრემიერ-მინისტრი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში, ბელგიის სამეფოს პრემიერ-მინისტრს ალექსანდერ დე კროს შეხვდა. ირაკლი ღარიბაშვილი ბრიუსელში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს სხდომაში იღებს მონაწილეობას.

დაკარგული მილიონები!

3

„ვიკინგი“ – ჩრდილოეთ-სამხრეთის ახალი დერეფანი ქართული ტვირთებისთვის

ბესო ალადაშვილი: ჩვენი სპეცსამსახურები ხშირად კომპრომატებს ერთმანეთზე აგროვებდნენ და იგი კლანური დაპირისპირებისთვის გამოიყენებოდა

7

ვინ იყო მელიქ სომხიანცი?!

6

ერთი ჩვენებური მაიორი

პრეზიდენტი ვაქცინაციისკენ მოგვიწოდებს

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მყოფ პირებს ვაქცინაციისკენ მოუწოდებს. ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ცნობით, თავად პრეზიდენტი ასტრაზენეკას ვაქცინით 18 მარტს აიცრება.

არასრულწლოვნებს – 14-წლიანი სასჯელი!



გიორგი შაქარაშვილის მკვლელობაში **მსჯავრდებულ არასრულწლოვნებს ზ.ხ.-სა და ა.ქ.-ს 14-14-წლიანი სასჯელი მიესაჯათ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებიდან გამომდინარე, მათ სასჯელი ერთი მეოთხედით შეუმცირდათ და პენიტენციურ დაწესებულებაში 10 წელსა 6 თვეს გაატარებენ.**

განაჩენი მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ და მოსამართლემ ბიძინა სტურუამ გამოაცხადა.

ამავე საქმეზე ცხრა მარტს მოსამართლემ სამ ბრალდებულს 16 წლით პატიმრობა მიუსაჯა გიორგი შაქარაშვილის დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ბრალდებით.

თეა წულუკიანმა ალეკო ელისაშვილს მგლობისა ვერაფერი შეატყო!

თუ ჩვენ გავიხსენებთ პარლამენტში შემოსვლამდე თქვენს გამონათქვამებს, თქვენ თქვით ასეთი რამ: პარლამენტში დევს 90 ცალი მუთაქა „ქართული ოცნებიდან“ და 60 მგელი რომ შევალთ იქ, ნახეთ, რას დავატრიალებთ. ახლა ჩვენ აქ ვართ 90 მუთაქა და თქვენ მგლობის ვერაფერი შეგატყვეთ, — ასე მიმართა პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ თეა წულუკიანმა ალეკო ელისაშვილს, რომელმაც მანამდე აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე მექრთამეობაში დაადანაშაულა.

...თქვენ ხართ ჩვეულებრივი ფარისეველი, რომელიც ვითომ წუხს ბათუმის ბულვარზე და კულტურულ მემკვიდრეობაზე, ერთადერთი კაცი, წევრი ჩემს კომიტეტში, რომელიც წინააღმდეგ წავიდა იმისა, რომ ქართულ კულტურას ჰქონოდა თავისი სამინისტრო, თქვენ ხართ ის კაცი, რომელიც თქვენზე ბევრად უფროს კაცებსა და ქალებს მუთაქებს ეძახის — ეს უკულტურობაა, — დასძინა თეა წულუკიანმა.

ირაკლი ღარიბაშვილი ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბრიუსელში გუშინ ევროკომისარს ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ოლივერ ვარჰეის შეხვდა.

„ყურადღება გავამახვილეთ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესსა და ასოცირების შეთანხმების ფარგლებში განხორციელებულ რეფორმებზე. ხაზი გაესვა ევროკავშირთან უფრო ღრმა ეკონომიკური და სექტორული ინტეგრაციის მნიშვნელობას. ჩვენს მთავრობას აქვს ამბიციური გეგმა, საქართველომ 2024 წელს ოფიციალური განაცხადი გააკეთოს ევროკავშირის სრულფასოვან წევრობაზე და ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელება გაგრძელდება.

საუბარი შეეხო COVID-19-ის პანდემიით შექმნილ გამოწვევებსა და სირთულეებს. განსაკუთრებით აღვნიშნე ევროკავშირის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა პანდემიის სოციალურ-ეკონომიკური შედეგების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, ასევე ვაქცინაციის როლი პანდემიის დამარცხებაში და ამ მიზნით ყველა ქვეყნისთვის ვაქცინაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის აუცილებლობა. განვიხილეთ საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება. ჩვენი ხელისუფლება მზად არის შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკური დიალოგისთვის, რაც პროცესების კონსტრუქციულად წარმართვას და დეესკალაციას შეუწყობს ხელს.

შეხვედრაზე ყურადღება დავუთმეთ რეგიონში განვითარებულ პროცესებს და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მძიმე ჰუმანიტარულ მდგომარეობას, ასევე – ჩვენი მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი ევროკავშირის ურყევი მხარდაჭერა“, – აცხადებს ღარიბაშვილი ევროკომისართან შეხვედრის შემდეგ.

რუსეთის მზარდი სამხედრო აქტიურობა რეგიონში მოითხოვს ევროკავშირის პროაქტიურ ჩართულობას

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ოლივერ ვარჰეისთან შეხვედრას სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ გამოეხმაურა.

როგორც მთავრობის მეთაური წერს, შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ რუსეთის მზარდი სამხედრო აქტიურობა რეგიონში მოითხოვს ევროკავშირის პროაქტიურ ჩართულობას.

„ოლივერ ვარჰეისთან ერთად განვიხილეთ საქართველოს პროგრესი ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე და ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გაგრძელებასთან დაკავშირებით, რათა 2024 წელს შევიტანოთ განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ რუსეთის მზარდი სამხედრო აქტიურობა რეგიონში მოითხოვს ევროკავშირის უფრო პროაქტიურ ჩართულობას“, – წერს პრემიერ-მინისტრი.

საქართველოს აქვს ამბიციური გეგმა!..

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტს, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს ჟოზეფ ბორელს შეხვდა, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური ავრცელებს. პირისპირ შეხვედრაზე, რომელიც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს სხდომამდე გაიმართა, ორმხრივი დღის წესრიგის ყველა ძირითადი მიმართულება განიხილეს. აღინიშნა ის პროგრესი, რომელიც ქვეყანას აქვს ეკონომიკის, პოლიტიკის და დემოკრატიზაციის რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით.

ზღვარზე მყოფი საქართველო!..

– ამის შესახებ ნათქვამია ანგარიშში სახელწოდებით „ზღვარზე მყოფი ქვეყანა“, რომელსაც აშშ-ის გერმანული მარშალის ფონდი აქვეყნებს.

„საქართველოში პოლარიზაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა. გასულ წელს გამართულმა საპარლამენტო არჩევნებმა ამის დემონსტრირება მოახდინა. ამერიკელმა და ევროპელმა ოფიციალურმა პირებმა ერთმნიშვნელოვნად უნდა განაცხადონ, რომ ერთპარტიული პარლამენტი მიუღებელია და მმართველმა პარტიამ და ოპოზიციამ კომპრომისი უნდა მოძებნონ. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე დასავლეთის მხრიდან მეტი პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების კუთხით მხარდაჭერის გარეშე ქვეყნის დემოკრატიული განვითარება და პროდასავლური პოზიცია შესაძლოა, შესუსტდეს“, – აცხადებენ დოკუმენტის ავტორები – საქართველოში შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი იან კელი და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე დევიდ კრამერი.

ისინი ბაიდენის ადმინისტრაციას საქართველოსთან დაკავშირებით რეკომენდაციებითაც მიმართავენ. კერძოდ, კელი და კრამერი აცხადებენ, რომ უნდა გაითვალისწინონ მათ შორის, საქართველოსთვის ევროკავშირსა და NATO-ში ღია კარის შენარჩუნება, ასევე დახმარება თავდაცვისა და ძლიერი ინსტიტუტების კუთხით, როგორიცაა, მათ შორის სასამართლო სისტემა.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ცალკე უწყებად გამოიყო

პარლამენტმა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცალკე უწყებად გამოყოფას მხარი დაუჭირა.

მთავრობის სტრუქტურაში ცვლილებებს პარლამენტში მესამე მოსმენით უყარეს კენჭი. გადაწყვეტილებას 79-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

მთავრობის მიერ ინიცირებული პროექტის მიხედვით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო იყოფა და ორ სამთავრობო უწყებად – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდ, ასევე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროდ ყალიბდება.

ქეთევან დუმბაძე: კულტურა ერის ღირსებაა!

დარწმუნებული ვარ, კულტურის სამინისტროს ცალკე გამოყოფა და პარლამენტში კულტურის კომიტეტის შექმნა წაშლის შეხედულებას, რომ კულტურას ნაკლები ყურადღება ექცევა, – განაცხადა „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ქეთევან დუმბაძემ თემის კომენტირებისას. დუმბაძის თქმით, საქართველოსთვის კულტურა სტრატეგიული დარგია და შემოქმედებითი საზოგადოება ითხოვს სახელმწიფო დონეზე ამის აღიარებას

„უპირველეს ყოვლისა უამრავი შემოქმედის, სხვადასხვა სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლების სახელით მინდა, მადლობა გადმოგცეთ ამ გადაწყვეტილებისთვის. აღარ ვილაპარაკებ იმ ურთულეს პრობლემებზე, რომელის წინაშეც კულტურა და კულტურის წარმომადგენლები დადგნენ პანდემიის პერიოდში. რამდენი რამ იყო და არის გასაკეთებელი ამ სფეროსთვის არა მხოლოდ პანდემიურ და პოსტპანდემიურ პერიოდში. კულტურა ერის ღირსებაა – ყოველთვის ასე ითვლებოდა საქართველოში და ასეა ახლაც. ისეთი ერისთვის კი, რომელიც ასე თვლის, კულტურული რყევები ან სტაგნაცია ყველა ბუნებრივ სტიქიაზე უფრო საშიშია! საქართველოსთვის კულტურა სტრატეგიული დარგია და შემოქმედებითი საზოგადოება ითხოვს სახელმწიფო დონეზე ამის აღიარებას, რადგან მიაჩნია, რომ კულტურაზე

დგას საქართველოს, როგორც ქვეყნის ცნობადობა, რითაც შეუძლია, დაიმკვიდროს თავი მსოფლიო თანამეგობრობაში. რადგან მიაჩნია, რომ მსოფლიო კულტურასთან შერწყმა, ქვეყნისთვის მსოფლიო კულტურულ რუკაზე დამკვიდრების წინაპირობაა. კულტურა საგარეო პოლიტიკის საძირკველია – ასე განსაზღვრა კულტურის როლი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა და, რა თქმა უნდა, იგი არ ცდებოდა, დღეს ეს განსაზღვრება ყველაზე აქტუალურად ჟღერს და მინდა მჯეროდეს, რომ ევროკავშირის წევრობისკენ მიმავალ გზაზე კულტურა პრიორიტეტულ ადგილს დაიკავებს. არაერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური დაპირისპირებები და აგრესია კი არ იწვევს კულტურის კრიზისს, არამედ პირიქით, შეურიგებლობა და აგრესიაა კულტურის კრიზისის შედეგი. და თუ დავეთანხმებით ამ აზრს, ნათელი გახდება, რამდენად მნიშვნელოვანია კულტურის როლი საზოგადოების განვითარების პროცესში. დარწმუნებული ვარ, კულტურის სამინისტროს ცალკე გამოყოფა და საქართველოს პარლამენტში კულტურის კომიტეტის შექმნა წაშლის ბოლო დროს საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებას, რომ კულტურას ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცევა. და ბოლოს, კულტურის სფეროს წარმომადგენლების სახელით მინდა, მივმართო ბიზნესის წარმომადგენლებს და მოვუწოდო კულტურის სტიმულირებისკენ. მივმართო პარლამენტს და გთხოვოთ ფილანტროპიის კანონის შემუშავება, რომელსაც, როგორც გადარჩენას, ისე ელოდება კულტურის სფერო და იმედს ვიტოვებ, რომ კულტურის კომიტეტის შექმნა ამ კანონის მალე ინიცირების საწინდარი გახდება! რომელიც დიდ შეღავათს გაუწევს სახელმწიფოს ისეთი მოწყვლადი სფეროს განვითარებაში როგორიც კულტურაა...

გინტარას ბაგდონასი: ჩვენი მიზანია, საქართველო გახდეს ნატოს წევრი

ნატოს გემების შემოსვლა ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის და ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის, – ამის შესახებ პოლკოვნიკმა გინტარას ბაგდონასმა განაცხადა. მისი თქმით, ვიზიტის მიზანი საქართველოს მხარდაჭერა და ხელშეწყობაა.

„ნატოს მხრიდან საზღვაო ჯგუფი დაეხმარება საქართველოს სანაპირო დაცვას პროცედურულად, ტექნიკურად. ვიზიტი ასევე გააძლიერებს შავი ზღვისა და რეგიონის უსაფრთხოებას. ჩვენი მიზანია დავეხმაროთ საქართველოს, მიაღწიოს დასახულ ამოცანას და გახდეს ნატოს წევრი. ყველა ზომა არის მიღებული COVID-19-ის პანდემიის გამო ადგილზე ვირუსის გავრცელების შესამცირებლად. ნატოსთვის ღირებულია საქართველოს სამხედრო ძალების წვლილი. ჩვენ უაღრესად ვაფასებთ საქართველოს ყოფნას ავღანეთში, სადაც საქართველო ნატოს არაწევრი ქვეყნებიდან ყველაზე დიდ კონტრიბუტორად რჩება. წელს ბევრი ერთობლივი გეგმა გვაქვს განსახორციელებელი. მათი უმეტესობა წვრთნებს მოიცავს. ნატო და საქართველო ემზადებიან ერთობლივი წვრთნებისთვის, რომელიც 3 წელიწადში ერთხელ საქართველოში ტარდება. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, ნატოს გემების ფოთში შესვლა არის საქართველოს მხარდაჭერა“, – განაცხადა ბაგდონასმა.

მისივე თქმით, შავი ზღვა ნატოსთვის სტრატეგიულ მნიშვნელობის მატარებელია და რუსეთის მიერ ყირიმის, უკანონო ანექსიის შემდეგ და რეგიონში რუსეთის სამხედრო წარმომადგენლობის გაზრდის გამო, ნატომ დამატებითი ზომები მიიღო. პოლკოვნიკი აღნიშნავს, რომ ნატოს საზღვაო ძალები რეგიონში საერთაშორისო ნორმების და დადგენილი წესების დაცვით პატრულირებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ნატოს მუდმივმოქმედ მეორე საზღვაო შენაერთს (SNMG2) მასპინძლობს.

„ვიკინგი“ – ჩრდილოეთ-სამხრეთის ახალი დერეფანი ქართული ტვირთებისთვის

საქართველოდან კლაიპედას პორტის (ლიეტუვა) მიმართულებით შესაძლოა ტვირთბრუნვა გაიზარდოს, – ამის შესახებ აზერბაიჯანული გამოცემა Trend, ლიეტუვის საგარეო საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით იუწყება. აზერბაიჯანი საქართველოს მსგავსად პროექტ „ვიკინგშია“ ჩართული, რაც ბალტიის ზღვიდან კასპიის ზღვამდე და პირიქით, სატვირთო გადაზიდვებს უზრუნველყოფს. გადაზიდვების მოცულობა ჯერ მცირეა – 31 000 ტონა საქართველოდან, თუმცა ზრდის პოტენციალი გააჩნია. 2020 წელს კლაიპედას პორტი 47.7 მლნ ტონა ტვირთს მოემსახურა, რაც ქართული პორტების ჯამურ ტვირთბრუნვას 2.8-ჯერ აღემატება.

საკონტეინერო გადაზიდვების პროექტ „ვიკინგში“ საწყის ეტაპზე მხოლოდ აღმოსავლეთ და ჩრილოეთ ევროპის ქვეყნები იყვნენ ჩართული, კერძოდ: უკრაინა, ბელარუსი, ბულგარეთი, რუმინეთი, მოლდოვა და ლიეტუვა. ტვირთებს კლაიპედას, ოდესისა და ჩერნომორსკის, (2016 წლამდე ილოჩოვსკის, მდებარეობს უკრაინაში) პორტები ემსახურებოდა. 2015-2016 წლებში მათ რიგებს საქართველო და აზერბაიჯანიც შეემატა. ამ გაფართოებამ კასპიის ზღვის აუზიდან სკანდინავიის ქვეყნებისკენ ტვირთების ტრანსპორტირების ახალი მარშრუტი გააჩინა.

ახალი სატრანპორტო მარშრუტის იდეა 1999 წელს გაჩნდა, პირველი ვიკინგ-მატარებელი 2003 წლის 6 თებერვალს გავიდა ხაზზე. ტვირთები პორტებამდე რკინიგზის საშუალებით მიდის, შემდეგ კი უკვე გემების საშუალებით ნაწილდება. კლაიპედადან ჩერნომორსკის პორტამდე 1734 კმ-ის დაფარვას მატარებელი 54 საათს ანდომებს. ლიეტუვის რკინიგზის ინფორმაციით მარშრუტის გამოყენებით, გადამზიდავებს ტრანსპორტირების ხარჯების 30%-მდე შემცირება შეუძლიათ.

2017 წელს ვიკინგის საშუალებით საკონტეინერო გადაზიდვები ბელარუსიდან უკრაინაში 200%-ით, უკრაინიდან ბელარუსში კი 400%-ით გაიზარდა. ზრდის ტემპი შედარებით მოკრძალებული იყო ლიეტუვიდან ბელარუსში + 37%.

2016 წლის აპრილში Caspian Energy-სთან ინტერვიუში პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი აცხადებდა, რომ პროექტ „ვიკინგს“ რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნდა, მათ შორის: ფიქსირებული გრაფიკი, კონკურენტუნარიანი ფასები, განბაჟებისა და დოკუმენტაციის შევსების მინიმალური ვადები.

ქართულმა მხარემ ბალტიისა და შავი ზღვის მიმართულებით სატვირთო გადაზიდვების შესახებ მრავალმხრივ ხელშეკრულებასთან მიერთების პროტოკოლს ხელი 2011 წლის 15 მარტს მოაწერა, რომელიც ძალაში 1 წლის შემდეგ შევიდა. 2015 წლის აპრილში კი საქართველო პროექტ „ვიკინგის“ სრულფასოვანი წევრი გახდა.

საქართველო ძირითადად მეზობელ ქვეყნებთან ვაჭრობს, თუმცა 2020 წელს ჩინეთში ექსპორტი 2.13-ჯერ გაიზარდა და $476 მლნ-ით პირველი ადგილი დაიკავა. $441 მლნ-ით მეორე ადგილზე აზერბაიჯანია, რომელსაც რუსეთი ფეხდაფეხ მისდევს და უმნიშვნელოდ – $0.3 მლნ-ით ჩამორჩება. ამ ქვეყნებში გასულ წელს ექსპორტი 13 და 11 პროცენტით შემცირდა. 10%-იანი ზრდის შემდეგ, $313 მლნ-ით მეოთხე ადგილზე ბულგარეთი გავიდა. ბულგარეთს $217 მლნ-ით უკრაინა მოსდევს. ბელარუსი $47 მლნ-ით მე-14 პოზიციას იკავებს, $36 მლნ-ით მე-15 ადგილზეა ლიეტუვა. რუმინეთი $20 მლნ-ით 23-ე ადგილს სჯერდება, ლატვიასა და ესტონეთში ექსპორტი $10 მლნ-ზე ნაკლებია, მაღალი მსყიდველობითუნარიანობით გამორჩეულ სკანდინავიის ქვეყნებში – $1 მლნ-ზე ნაკლები. პროექტის კიდევ ერთ ირიბ მონაწილე დიდ ბრიტანეთში $20 მლნ.

ევროპის ქვეყნების მიმართულებით როგორც წმინდა ექსპორტის, ასევე რეექსპორტისა და აზიიდან ტრანზიტული ტვირთების მიწოდების ზრდის პოტენციალი ნამდვილად არსებობს, თუმცა ამ პოტენციალის პარალელურად არსებობს გარკვეული სერიოზული პრობლემებიც.

სტრატეგიული მდებარეობის მიუხედავად, ქართულ პორტებში ტვირთბრუნვა დაბალია, რასაც ბოლო 8 წელიწადში სარკინიგზო გადაზიდვების განახევრებაც ემატება. რიგი ლოჯისტიკური პრობლემების გამო, რაც როგორც ინფრასტრუქტურულ გაუმართაობაში, ასევე არასწორ საფასო პოლიტიკაში გამოიხატება, საქართველო სატრანზიტო ჰაბის ფუნქციას ვერ ასრულებს. მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება თავად პორტები, რომლებიც შავ ზღვაში შემოსულ გემების 75%-ს ვერ ღებულობს, მათი ლიმიტი 1500-კონტეინერიანი გემია. ანაკლიის პორტი, რომელიც 10 000 კონტეინერიან ხომალდებს უნდა მომსახურებოდა, ვერ ან არ აშენდა. საქართველოსგან დამოუკიდებელ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გადამზიდავებს რამდენიმე ქვეყანასთან ურთიერთობას, რომელთაც სხვადასხვა ტარიფი და კანონმდებლობა გააჩნიათ, ერთ რუსეთთან ურჩევნიათ საქმის დაჭერა, თუნდაც კორუფციული გარიგების ხარჯზე. 2020 წელს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული პორტებისა და ტერმინალების ჯამური ტვირთბრუნვა 1.7%-ით 17.2 მლნ ტონიდან 16.9 მლნ ტონამდე შემცირდა. 13.9%-იანი ვარდნის მიუხედავად ფოთის პორტის წილმა 7.4 მლნ ტონით ჯამური ტვირთბრუნვაში 44% შეადგინა. სუფსის ტერმინალი 4.2 მლნ ტონა ტვირთს მოემსახურა, ბათუმის პორტი – 3.5 მლნ ტონას, ყულევის ტერმინალი კი 1.7 მლნ ტონას. ფოთის პორტის გარდა ყველგან ზრდა ფიქსირდება, მაგრამ ამ ფაქტმა საბოლოო შედეგზე გავლენა მაინც ვერ იქონია. ტონაჟისგან განსხვავებით საკონტეინერო გადაზიდვები ბევრად უფრო მკვეთრად – 24.2%-ის 648 000-დან 490 000-მდე შემცირდა.

2019 წელთან შედარებით მცირედით 1.8%-ით 11.1 მლნ ტონამდეა გაზრდილი სარკინიგზო გადაზიდვები, მაგრამ ეს 2012 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 55%-შ შეადგენს. უმნიშვნელოდ 1.4%-ით, 42.3 მლნ ტონიდან 42.9 მლნ ტონამდეა გაზრდილი ჯამური სატრანსპორტო გადაზიდვებიც. 2017 წელს მრავალი გადადების შემდეგ ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა გაიხსნა, რომლის გამტარუნარიანობაც წლიურად 6.5 მლნ ტონას შეადგენს 17 მლნ ტონამდე ზრდის პერსპექტივით. სულ რაღაც 26 კმ-იანი მონაკვეთის აშენებით ჩინეთი ბრიტანეთს რკინიგზით საქართველოს გავლითაც დაუკავშირდა. რკინიგზის ახალ მონაკვეთზე ტვირთბრუნვის სწრაფი მატების მიუხედავად, საკონტეინერო გადაზიდვები 2020 წელს 372%-ით გაზარდა, ეკონომიკის მინისტრ ნათია თურნავას განცხადებით 2018 წლიდან 2020 წლის დეკემბრამდე რკინიგზამ სულ 400 000 ტონა ტვირთი გაატარა, რაც შესაძლებლობის მხოლოდ 2.2%-ს შეადგენს.

1993 წელს, ბრიუსელის დეკლარაციის საფუძველზე ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი – ტრასეკა დაფუძნდა. ხელმომწერთა შორის საქართველოს გარდა არიან: აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, ირანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, მოლდოვა და ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფო. დოკუმენტი ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრების გადაყვანის ერთიანი სისტემის შექმნას ითვალისწინებდა.

2012 წელს ფოთისა და ბათუმის პორტების ტვირთბრუნვა ჯამში 15.5 მლნ ტონას შეადგენდა, რაც 2020 წლის მაჩვენებელს 42%-ით აღემატება, იმავე 2012 წელს რკინიგზით 20.1 მლნ ტონა ტვირთი იქნა გადაზიდული, 81%-ით მეტი, ვიდრე 2020 წელს. 2012 გამორჩეული წელი არ ყოფილა, 2000 წელს ქართულმა პორტებმა 17.6 მლნ ტონა ტვირთი გადაამუშავეს, 4%-ით მეტი ვიდრე 2020 წელს. 20 მლნ ტონას კი რკინიგზის ტვირთბრუნვა 2006-2007 წლებშიც აჭარბებდა. არსებულ პორტებს ტვირთის არსებობის შემთხვევაში ზრდის გარკვეული პოტენციალი გააჩნიათ. ანაკლიის პორტს, ბოლო მეცხრე ფაზაზე წლიურად 100 მლნ ტონა ტვირთი უნდა მიეღო. იმ პერიოდში როდესაც რკინიგზის ტვირთბრუნვა 20 მლნ ტონას აღემატებოდა, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა გახსნილი არ იყო. დღეს მისი პოტენციალი უკვე 36 მლნ ტონაა, რომლის გაზრდაც შესაძლებელია.

გეგმის მიხედვით, ანაკლიის პორტს პირველი 10 000-კონტეინერიანი გემი 2020 წლის 31 დეკემბრამდე უნდა მიეღო. პროექტი ინვესტორთა ბრალეულობით შეჩერდა, თუ მთავრობის არაკეთილსინდისიერი განზრახვით, ამაზე მსჯელობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება. როგორც პრემიერმა ღარიბაშვილმა განაცხადა, ტენდერის განმეორებით გამოსაცხადებლად დოკუმენტაცია მზადდება.

ანაკლიის პორტის გარეშეც არსებული პოტენციალის ათვისება ვერ ხერხდება. საქართველო ვერც თავად აწარმოებს დიდი ოდენობით პროდუქციას და სატრანზიტო ფუნქიისთვისაც ვერ დებს საუკეთესო წინადადებას. თავის მხრივ ეკონომიკის ჯამური გამოშვება დაბალია როგორც სომხეთში, ასევე აზერბაიჯანში, იმ ქყვეყნებში, რომლებიც ევროპაში ტვირთის ტრანზიტს აუცილებლად საქართველოს გავლით ახორციელებენ. ნახიჭევანის გზის გახსნამ შესაძლოა ვითარება ნაწილობრივ შეცვალოს, მაგრამ არა სრულად. უპირველესად საქართველოში და შემდეგ რეგიონში მძიმე ეკონომიკური ვითარება, პანდემიამდელ პერიოდშიც დაბალი ეკონომიკური ზრდა, ბევრ სიცოცხლისუნარიან პროექტს მიმზიდველობას აკარგვინებს.

2019 წელს ევროკავშირისა და ჩინეთს შორის სავაჭრო ბრუნვამ 560 მლრდ ევრო შეადგინა, ევროკავშირმა ჩინეთიდან 362 მლრდ ევროს იმპორტი განახორციელა და საპასუხოდ ექსპორტზე 198 მლრდ ევროს პროდუქცია გაიტანა. 560 მლრდ ევრო 2019 წლის კურსით $627 მლრდ-ს შეადგენდა. ტვირთების 1%-მაც რომ საქართველოზე გაიაროს ეს 6 მლრდ დოლარზე მეტი იქნება.

გიორგი ელიზბარაშვილი

200-ლარიანი კომპენსაციის გაცემის მიზნით, განაცხადების წარდგენა გრძელდება

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, კომპენსაციის გაცემის მიზნით, მონაცემთა ბაზაში, დღეის მდგომარეობით, უკვე 197 502 განაცხადია დარეგისტრირებული.

ამასთან, შემოსავლების სამსახური განმარტავს, რომ თუ დამქირავებელი ყოველ მომდევნო თვეში, ამ შემთხვევაში, მარტში, აღარ წარადგენს განაცხადს, შემოსავლების სამსახური კომპენსაციის მიმღებ პირთა ნუსხის შედგენისას გამოიყენებს წინა თვეების განაცხადებს. ამასთან, მათივე ცნობით, თუ დამსაქმებელი კომპანიების წარმომადგენლებმა, თებერვლის თვეში ვერ წარადგინეს განაცხადები, მათი წარდგენა შესაძლებელია 22 მარტის ჩათვლით (ვინაიდან 20 მარტი არის არასამუშაო დღე), რის შემდეგაც დაქირავებული პირები ისარგებლებენ 200-ლარიანი კომპენსაციის მიღების უფლებით.

აქვე, შემოსავლების სამსახური მოქალაქეებს შეახსენებს, რომ აღნიშნული განაცხადების წარდგენა შესაძლებელია დისტანციურად, მომსახურების სერვისცენტრებში მიუსვლელად, მომხმარებლის ავტორიზებული გვერდიდან https5//eservices.rs.ge/Login.aspx0redirect_url=https://eservices8rs8ge/Login8aspx.

დამსაქმებლების მიერ, კომპენსაციის გაცემისთვის საჭირო ელექტრონული განაცხადის, ონლაინ შევსების წესის შესახებ ვიდეო ინსტრუქცია, ასევე პასუხები ხშირად დასმულ კითხვებზე მოქალაქეებს შეუძლიათ იხილონ შემდეგ ბმულებზე: https/rs.ge/LawNevsArchive?nevsid=-159https:rs.ge/Covid19?cat=,@tab=8.

შემოსავლების სამსახური მოქალაქეებს მიმართავს, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, დაუკავშირდნენ შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სატელეფონო ცენტრს: 2 299 299 ან მიწერონ ელექტრონულ მისამართზე info@rs.ge.

ნოდარიკო მელაძემ ამაზრზენი ტყუილებით ნიკუტას გაუსწრო!

დღეს ჩვენში ისე ვერ დაიძინებ კაცი, მეორე დილით რაიმე სენსაციური ამბით თუ არ გაგაოგნეს. ეს სიკეთე მაინცდამაინც დილით თუ არ მოხდა, საღამოს ხომ აღარ გადააცილებენ...

ტვ „პირველის“ 6 მარტის „დაუვიწყარი“ გადაცემა, რომელსაც ნოდარ მელაძე უძღვება ხოლმე, შაბათის ეთერამდე დიდი ხნით ადრე ერთი ზარ-ზეიმით იყო დაანონსებული, თუმცა ტელეაუდიტორიის უმეტესი ნაწილი ამ აჟიოტაჟს სკეფსისით შეხვდა. ამის მიზეზი საყოველთაოდაა ცნობილი — მელაძეს ცრუ, ყალბი, თითიდან გამოწოვილი სენსაციების შეთხზვაზე ხელი გვარიანად აქვს გაწაფული: სათანადო გამოცდილება მან ჯერ კიდევ „რუსთავი2“-ზე ყოფნის დროს შეიძინა, რომელსაც თავის დროზე მოგონილი სკანდალური ამბების ტირაჟირებით საქართველოს ტელესივრცეში ბადალი არ ჰყავდა. მას შემდეგ, რაც „რუსთავი2“ ახალი მფლობელის ხელში გადავიდა, ხოლო მისმა ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ ახალი „გლავკანალი“ შექმნა, ბევრის გასაკვირად, მასზე აუტანელი მატყუარა მელაძე არ აიყვანა.

ყველაფერი გასაგებია, თუკი ავადმყოფ ნოდარიკოს სამსახურზე უარს თავად ფსიქიკურად „აჭრილი“ ნიკუტა გვარამია ეუბნება, ადვილი წარმოსადგენია, თუ რას წარმოადგენს თავად მელაძე. სწორედ ამიტომ იყო, რომ პირადად მე „პირველის“ იმ საღამოს დაანონსებულ გადაცემას სპეციალურად არ ვუყურე.

ახლა უკვე, მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი ნოდარ მელაძის იმ „სენსაციური“ გადაცემის არსი: ლაპარაკი იყო 2010 თუ 2011 წლის ფარულ აუდიოჩანაწერზე, რომელზეც ბიძინა ივანიშვილის იმ დროს არასრულწლოვანი ვაჟიშვილი ბერა, ფონდ „ქართუს“ იმდროინდელ პრეზიდენტ ირაკლი ღარიბაშვილსა და მამამისის პირადი დაცვის ასევე იმდროინდელ უფროსს ანზორ ჩუბინიძეს ესაუბრება.

მაინც, რაშია საქმე? ტელეარხ „იმედის“ ჟურნალისტს თავად ბერა ივანიშვილმა უამბო, რომ ფარულად გაკეთებული და „ტვ პირველის“ გასაჯაროებული აუდიოჩანაწერი იმ დროს განეკუთვნება, როცა იგი 15-16 წლისა იყო. იმხანად მოზარდი რეპერობით იყო გატაცებული, თავის შეთხზულ სიმღერებს მღეროდა, რომლებსაც სოციალური ქსელით ავრცელებდა, ამდენად, თანატოლებში მას ბევრი ფანატი ჰყავდა. მოულოდნელად ბერას თაყვანისმცემელი მოზარდებისა და პირადად მის მიმართ აღვირახსნილი დევნის კამპანია დაიწყო. მისი მისამართით აუარება შეურაცხმყოფელი პოსტი დაიდო, რის გამოც მოზარდი იძულებული გახდა, მამის უშიშროების სამსახურისთვის მიემართა, რომლის წარმომადგენლებმა, თავად ბერას თქმით, „კანონის, ეთიკისა და ზნეობის ყველა კანონის დაცვით“ მიაკითხეს შეურაცხმყოფელებს და მათ წესიერად, ადამიანურად მოქცევისკენ მოუწოდეს.

„სიმართლე გითხრათ, შოკში ჩამაგდო პირადად ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ მაშინდელმა ლანძღვა-გინებამ, — ამბობს ბერა ივანიშვილი. — ასეთი საზიზღარი გინება მანამდე არასდროს გამეგო. ყველაზე მეტად კი აღმაშფოთა დაახლოებით 100-200 ჩემი მომხრე 10-11 წლის თაყვანისმცემლის უსაშველო ლანძღვამ: იყო მუქარები, რაღაც პორნოგრაფიული სურათები... ამ გზავნილთა ავტორები წერდნენ ბავშვებს: „ჩვენ მოგაკითხავთ!“ „ბერა შენ ვერ დაგიცავს!“, „ბერას კიბო აქვს!“ და ასე შემდეგ. ისინი ისეთ სისაძაგლეებს ლაპარაკობდნენ, რომლებსაც ეთერში ვერ გავიმეორებ. ამ მუქარების ადრესატების მშობლები, ბუნებრივია, შეშფოთებულები იყვნენ — ისინი დაგვიკავშირდნენ, ჩვენ კი ვალდებული ვიყავით ყოველივე უშიშროების სამსახურისთვის გვეცნობებინა, რომელიც დაუკავშირდა მოზარდების ოჯახებს, ვინც ამ შეურაცხმყოფელ ტექსტებს თხზავდა და მოუწოდა შეეწყვიტათ მსგავსი ქმედებები“, — იგონებდა ბერა.

შემდეგ კი ბიძინა ივანიშვილის ვაჟიშვილმა განაცხადა, რომ სოციალურ ქსელ ტიკ-ტოკში მისი აკაუნტი დაზარალდა საქართველოს მომხმარებელთა მხრიდან მრავალრიცხოვანი შეტევის გამო. ამ მიზეზით სოციალურ ქსელებში ის აღარ აქტიურობს.

„ადრე კონტრაქტი გავაფორმე ერთ ამერიკულ ხმის ჩამწერ სტუდიასთან და სიმღერაც გამოვუშვით, რომელიც იუთუბის ქსელში აიტვირთა და ჩემი ფოტოც ახლდა. მაგრამ, როგორც კი სიმღერა სოციალურ ქსელში გაჩნდა, რამდენიმე ასეული საჩივარი გაჩნდა იმის თაობაზე, თითქოს კლიპი პორნოგრაფიას შეიცავდა. ფირმის თანამშრომლები გაოცებულნი იყვნენ: განა ასეთი რა ხდებაო? საქმე კი ისაა, რომ უკლებლივ ყველა საჩივარი... საქართველოდან იყო“, — გაიხსენა ბერამ.

„საერთოდაც, რისთვისაც უნდა მომეკიდა ხელი საზღვარგარეთ, ჩემი დონაცია რომ გავიხსენო (დონაცია — დონორული დახმარებაა — ვ.ა.) — ადგილობრივ მედიაში საქართველოდან მაშინ იწყებდნენ რეკვებს, უკანასკნელი სიტყვებით ლანძღვა-გინებას არ ერიდებოდნენ, მაგალითად, ბრაზილიელები გაოგნებულები იყვნენ: ასეთ სიტყვებს ჩვენში ყველაზე ცხარე პოლიტიკური დაპირისპირებების დროსაც არ ხმარობენ, თქვენ რა ხალხი ხართ ასეთიო? იგივე ხდება ამჟამად ტიკ-ტოკის ჩემს გვერდზეც: გასული ზაფხულიდან მოყოლებული საჩივრები ლამის ყოველდღე შემოდის, უკმაყოფილებას გამოთქვამს ასობით თუ არა, ათასობით ადამიანი თითქმის მთელი საქართველოდან. ამან ჩემი აკაუნტი დააზარალა. როცა ქსელში ჩემი ცოლ-შვილის ვიდეოს ვდებდი, იმწამსვე აუარება ბრალდება მოდიოდა, თითქოსდა ეს პორნოგრაფიაა, სახიფათო კონტენტი. როცა ტიკ-ტოკის მენეჯერებს დავუკავშირდი, მითხრეს, რომ სოციალურ ქსელში დაახლოებით მილიარდი მომხმარებელია და რომ აპლიკაციის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა კონკრეტულ პიროვნებას ასეთ ომს უცხადებენ. მე, რაღა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი მოგვარდება, ჩემი ოპონენტები დაშოშმინდებიან. უბრალოდ, მინდა საზოგადოებრიობას სცოდნოდა ამ ფაქტების შესახებ“, — თქვა დასასრულ ბერა ივანიშვილმა.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსმა ანზორ ჩუბინიძემ დაადასტურა, რომ იმ დროს, როცა იგი ივანიშვილების ოჯახის დაცვის თავკაცი იყო, მას მართლაც მიუკითხავს იმ მოზარდებისთვის ოჯახებში, ვინც სოციალურ ქსელებში ბერა ივანიშვილის მისამართით სალანძღავ პოსტებს და სტატუსებს აქვეყნებდა, ასევე ემუქრებოდა მასა და მის თაყვანისმცემლებს.

„ეს იყო 2010 წლის მიწურული-2011 წლის დასაწყისი, ბიძინა ივანიშვილს ჯერაც არ ჰქონდა განცხადებული პოლიტიკაში საკუთარი ჩართვის თაობაზე, ამ დროს მე ივანიშვილისა და მისი ოჯახის დაცვის უფროსი გახლდით. სწორედ ამ პერიოდში სოციალურ ქსელში გაჩნდა ბერასა და მის თაყვანისმცემლებისადმი მუქარის პოსტები. ჩემი პირდაპირი მოვალეობა იყო ამ საქმეში ჩავრეულიყავი. მე ბილწსიტყვაობის ავტორთა იდენტიფიცირება მოვახდინე და აღმოჩნდა, რომ ეს მოზარდთა გარკვეული ჯგუფია. მე ერთერთი მათგანის მამას დავუკავშირდი, იგი ადეკვატური ადამიანი აღმოჩნდა, გაგებით მოეკიდა ჩვენს შეშფოთებას, მეტად პოზიტიური რეაქცია ჰქონდა, დაგვეხმარა და მედიატორის როლიც იკისრა. ამავე მშობელმა თავისი შვილის მეგობრებს დაგვაკავშირა — სწორედ იმათ, ვინც ამ პოსტებს ავრცელებდა. როცა ერთ-ერთ მათგანს მივაკითხეთ, ყმაწვილის მშობლები შინ არ იყვნენ. მაშინ, ჩემი თხოვნით, საუბარი მეზობლების თანდასწრებით შედგა. ამან გაამართლა და მოზარდი გვენდო. მე ის ყველაფრის შესახებ გამოვკითხე, რაც მაინტერესებდა, მანაც მიპასუხა. დავრწმუნდი, რომ გამოთქმული მუქარები მომავალში მოქმედებებში არ გადაიზრდებოდა. ამით, ფაქტობრივად, ჩვენი საუბარი დასრულდა“, — აცხადებს ივანიშვილის ოჯახის დაცვის ყოფილი უფროსი.

ჩუბინიძე ირწმუნება, რომ ირაკლი ღარიბაშვილს ამგვარი ვითარებების მოგვარებაში მონაწილეობა არასდროს მიუღია. იგი ვარაუდობს, რომ მელაძე საგანგებოდ ეცადა ფარულ ჩანაწერებზე გახმიანებული ქმედებები 2010-2011 წლებიდან 2016-2017 წლებში გადმოეტანა. გადაცემის ავტორებს სურდათ დაედანაშაულებინათ პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი და ჩინოსანი ჩუბინიძე უკანონო ქმედებებში, იმაში, თითქოსდა ისინი ავიწროებენ ახალგაზრდებს, საკუთარი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მათზე ზეწოლის მოხდენას ცდილობენ.

მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ყველამ მშვენივრად უწყის, რომ ყოველივე ეს მტკნარი სიცრუეა!

თავად ანზორ ჩუბინიძე დარწმუნებულია, რომ ყველა ჩანაწერი მოპოვებულია უკანონოდ, მაშასადამე, ჩადენილია მძიმე დანაშაული.

„განა დანაშაული არ არის უცხო პირთა საუბრის უკანონოდ მოპოვება, ჩანაწერების შენახვა, მონტაჟი, გავრცელება?“, — კითხვას სვამს იგი.

ამაზე პასუხის გაცემა მკითხველისთვის მომინდვია. მაგრამ რაღა მაინცდამაინც დღეს გამოქვეყნდა ჩანაწერები, რომლებიც ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის დროიდან მოყოლებული ვიღაცას მთელი ათი წლის მანძილზე ჰქონდა შენახული?

ყველაფერი გამიზნულადაა გაკეთებული, ოპოზიციასთან მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდის გამართვისას, რომელიც ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენლის მონაწილეობით შედგა, ხელისუფლებას ოპოზიციისთვის რომ ბევრი რამ დაეთმო!.. რამდენად შედეგიანი აღმოჩნდება ეს „ვირეშმაკური“ ხრიკი, დრო გვიჩვენებს, ხოლო, რაც შემეხება პირადად მე, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ნოდარიკო მელაძის 6 მარტის მორიგი გაბერილი ტყუილებით სავსე სატელევიზიო სენსაცია რომ არ ვნახე, ამის შესახებ სულაც არ ვნანობ!..



ვადიმ ანასტასიადი,
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი

კახა კალაძე: წლეულს 2000-მდე სტუდენტს დავეხმარებით!

თბილისის მერი კახა კალაძე სოციალურ ქსელში სტუდენტთა დახმარების სოციალურ პროგრამას კიდევ ერთხელ გამოეხმაურა და ახალგაზრდებს მოუწოდა, პროგრამის მოთხოვნებს გაეცნონ, დარეგისტრირდნენ და მერიის დაფინანსებით ისარგებლონ.

კახა კალაძის განმარტებით, პროგრამა, როგორც ბაკალავრის, ისე სამაგისტრო მიმართულების დაფინანსებას ითვალისწინებს.

„სოციალურად დაუცველი, წარმატებული სტუდენტებისთვის ჩვენ წელს გავზარდეთ სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამის დაფინანსება, რათა ფინანსურად დავეხმაროთ და მხარდაჭერა გამოვუცხადოთ რაც შეიძლება მეტ სტუდენტს. პროგრამაში შემოვიტანეთ გარკვეული ცვლილებები, რაც გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ სტუდენტების რაოდენობა გაორმაგდეს. წელს 2 000-მდე ახალგაზრდას ექნება საშუალება, ჩაერთოს ამ პროგრამაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ხელი შევუწყოთ იმ ოჯახებს, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება ჩვენი თანადგომა. ყველა განხორციელებული ინვესტიცია, რაც ხმარდება ახალგაზრდებს, მათ განათლებას სამომავლოდ ისევ ჩვენს ქვეყანას დაუბრუნდება. ამიტომ, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში, ახალგაზრდებს გვერდით დავუდგებით“, — აღნიშნა კახა კალაძემ ვიდეომიმართვაში.

სწავლობენ საქართველოში მედიცინის აქტუალურ პრობლემებს

2021 წლის 12 მარტს შედგა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული **„საქართველოში მედიცინის აქტუალური პრობლემების შემსწავლელი კომისიის“** მორიგი, მეცხრე სხდომა, რომელიც მიეძღვნა მედიცინის ისტორიის აქტუალურ საკითხებს. სხდომა გაიმართა ონლაინ რეჟიმში, ZOOM-ის პლატფორმაზე. მას ესწრებოდნენ კომისიის წევრები, აკადემიკოსები, დარგობრივი პროფესიული ასოციაციების წარმომადგენლები, დარგის ექსპერტები.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა არჩილ ჩხოტუამ. მან აღნიშნა, რომ კომისიის მუშაობა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კლინიკური მედიცინის პრობლემებზე მსჯელობით, არამედ, აუცილებელია მედიცინასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, როგორიცაა: არატრადიციული მედიცინა, ფუნდამენტური მეცნიერება, ბაზისური კვლევები და სხვა. შესაბამისად, აუცილებელია „საქართველოში მედიცინის აქტუალური პრობლემების შემსწავლელი კომისიის“ ინტერესების სფეროს გაფართოება. სწორედ ამის საუკეთესო მაგალითი იყო აღნიშნული სხდომა. იგი მიეძღვნა ისეთ საინტერესო და აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა მედიცინის ისტორია, ხალხური მედიცინა, პალეოპათოლოგია და სხვა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა რამაზ შენგელიამ ისაუბრა მედიცინის ისტორიის როლსა და მნიშვნელობაზე. მან ხაზი გაუსვა, რომ სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნების სიღრმე და სიფართოვე ქვეყნისა და ეპოქის კულტურული განვითარების საერთო დონის საუკეთესო მარკერია. მედიცინის ისტორია გულისხმობს და მოსაზღვრეა ისეთი დისციპლინებისა, როგორიცაა ისტორია და არქეოლოგია; ფილოსოფია და თეოლოგია; ფილოლოგია და ენათმეცნიერება; პალეოანთროპოლოგია, პალეოპათოლოგია და ანთროპოლოგია; პალეოეკოლოგია, პალეოდემოგრაფია, პალეოფსიქოლოგია და სხვ. მან მოკლედ მიმოიხილა ქართული მედიცინის ისტორიის განვითარება და ამ დარგის მიღწევები. კერძოდ, აღინიშნა, რომ:

- შესწავლილი, აღწერილი და მეცნიერულად დამუშავებულია 526 ქართული სამედიცინო ხელნაწერი;
- შედგენილია მსოფლიოში ერთადერთი აღწერილობითი კატალოგი და გამოცემულია სტამბურად (სულ არსებობს 6 სხვადასხვა ქვეყნის ტექნიკური კატალოგი);
- 40-ზე მეტი სამეცნიერო ექსპედიციის მიერ შესწავლილია საქართველოს ყველა კუთხე და მასალა;
- აღნიშნული მასალის გამოყენებით დაცულია 12 საკვალიფიკაციო ნაშრომი გასტროენტეროლოგიაში, კარდიოლოგიაში, ქირურგიაში, პულმონოლოგიაში, პედიატრიაში, მეანობა-გინეკოლოგიაში და სხვა;
- შექმნილია უნიკალური სამედიცინო-გეოგრაფიული ატლასი.

აკადემიკოს რამაზ შენგელიასა და მისი ჯგუფის მიერ პირველად (1996 წ.) შემუშავებული იქნა REP (Remedy Estimating Program) კომპიუტერული პროგრამა, რომელიც სამკურნალო მცენარის (ბუნებრივი რესურსის)გარკვეული დაავადების მიმართ სავარაუდო ეფექტურობის რიცხობრივ შეფასებას იძლევა, რასაც „სანდოობის კოეფიციენტი“ (Liability Coefficient – LC) ეწოდა. მომხსენებელმა მიმოიხილა ათწლეულების განმავლობაში დარგის სამეცნიერო მიღწევები და მომავალი გეგმები.

თსსუ მედიცინის ისტორიის და ბიოეთიკის დეპარტამენტის თანამშრომელმა, მედიცინის დოქტორმა ნანი ხელაიამ ისაუბრა ქართული ტრადიციული მედიცინის კონცეპტუალურ ბაზისსა და მისი გამოყენების შესაძლებლობებზე. მან წარმოადგინა „ხალხური მედიცინის“ (ამჟამად ეთნომედიცინად წოდებული) განვითარების ისტორია საქართველოში. 1960-1988 წწ. პროფესორ მ. შენგელიას ინიციატივით და ხელმძღვანელობით შედგა 40-ზე მეტი სამეცნიერო ექსპედიცია, შეგროვილია ათიათასობით რეცეპტი, სამკურნალო მცენარეთა ჰერბარიუმი, რომლებიც დაცულია ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის ფონდებში. აღნუსხულია 500-ზე მეტი ქართული სამედიცინო ხელნაწერი და დაცულია საქართველოს და მის საზღვრებს გარეთ არსებულ უძველეს წიგნთსაცავებში. ეკოტოპოლოგიური კვლევის საფუძველზე გამოვლენილია საქართველოში ველურად მოზარდი სამკურნალო ფლორის ნიმუშები, მათ შორის კავკასიის ენდემები (1300) და საქართველოს ენდემები (275), წითელ წიგნში შეტანილი ტაქსონები (97), ასევე კულტურული ჯიშები და ინტროდუცირებული სახეობები. ტრადიციული მედიცინის მონაცემთა მიხედვით შესწავლილია ისეთი დარგების განვითარების ისტორია, როგორიცაა: ნევროლოგია, ოფთალმოლოგია, გინეკოლოგია, კარდიოლოგია, ქირურგია, გასტრო-ენტეროლოგია, სტომატოლოგია, ფტიზიატრია და სხვა. მოხსენების ბოლოს ავტორმა გამოყო მომავალი კვლევის აქტუალური საკითხები.

მესამე მოხსენება – „პალეოპათოლოგია-ისტორია, მიზნები და პერსპექტივები“ წაიკითხა მარინე ჭკადუამ საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან. მან აღნიშნა, რომ პალეოპათოლოგია მეცნიერების ახალგაზრდა დარგია, რომელიც 200 წელს ითვლის. იგი ბიოანთროპოლოგიის ნაწილია, რომელიც შეისწავლის დაავადებებს და ტრავმებს ადამიანთა ნაშთების გამოკვლევით. აღინიშნა, რომ პალეოპათოლოგია გვამცნობს ძველი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას; გვაწვდის ინფორმაციას ადამიანთა საქციელზე, საქმიანობაზე, კვებასა და ცხოვრების წესზე; სწავლობს იმ დაავადებათა ევოლუციას, რომელიც დღესაც არსებობს. შესაბამისად, იგი უმნიშვნელოვანესია თანამედროვე მედიცინისა და მისი განვითარებისათვის.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა აქტიური დისკუსია. მასში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა, აკადემიკოსებმა, ექსპერტებმა და დარგის წარმომადგენლებმა.

სხდომა შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა არჩილ ჩხოტუამ. მან გამოხატა დამსწრე საზოგადოების საერთო აზრი, რომ მოსმენილი ინფორმაცია იყო ძალზედ აქტუალური და საინტერესო. მან მადლობა გადაუხადა სპიკერებს და დამსწრე აუდიტორიას. აღინიშნა, რომ კომისია მოამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს, რომლითაც წარდგება სამთავრობო სტრუქტურების წინაშე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური



პანდემიის დასრულების გზა ვაქცინაციაზე გადის!

„ჩვენს ვებ-გვერდზე ამასთან დაკავშირებით განთავსებულია განცხადება, როგორც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, ისე ევროპის წამლის სააგენტოსი, რომ ეს მონაცემები, რის საფუძველზეც რამდენიმე ქვეყანამ შეაჩერა ამ დასახელების ვაქცინის გამოყენება, გართულებები არ არის დაკავშირებული არც ვაქცინაციის პროცესთან და არც ვაქცინასთან. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და ევროპის წამლის სააგენტო გახლავთ ყველაზე უფრო ავტორიტეტული ორგანიზაციები და ჩვენ, რა თქმა უნდა, ვენდობით მათ დასკვნებს“, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა **ამირან გამყრელიძემ** For.ge-ს განუცხადა.

– დაწყებულია სერიოზული ანტიკამპანია ვაქცინაციის და ამ ვაქცინის წინააღმდეგ. თქვენი მხრიდან თუ იქნება გააქტიურებული კამპანია იმისათვის, რომ საზოგადოება ამ ვაქცინის სანდოობაში დარწმუნდეს?

– კამპანია მიმდინარეობს. არის ჩვენი გამოსვლებიც, ზოგადად, ვაქცინაციის პროცესთან დაკავშირებით, ვინ უნდა აიცრას, რატომ უნდა აიცრას, რატომ არის ვაქცინაცია ერთ-ერთი ყველაზე მთავარი გზა პანდემიის დასრულების. ის ვაქცინები, რომლებიც გამოიყენება და მათ შორის საქართველოში რომელიც შემოდის, არის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ავტორიზირებული და არის მაღალი ხარისხის. რა თქმა უნდა, ეს კამპანია მიმდინარეობს. შესაბამისი განცხადება და განმარტება ავტორიზირებული და ავტორიტეტული ორგანიზაციების დევს ვებგვერდზე. ამას ვიმეორებთ – არა ბატონო, გართულებები, როგორც ვაქცინირებულში, ისე არავაქცინირებულ მოსახლეობაში, დაახლოებით, ერთნაირია და ეს არ არის გამოწვეული ვაქცინით და ეს არ წარმოადგენს ვაქცინის გართულებას.

– „ასტრაზენეკათი“ აცრა რომელი ასაკიდან იწყება?

– 18 წლის ასაკიდან ვიწყებთ.

– რაც შეეხება „ფაიზერის“ ვაქცინას?

– როგორც გვაქვს წინასწარი დადასტურება „ფაიზერი“ 22 მარტის კვირაში შემოვა საქართველოში.

– როგორ ფიქრობთ, ვაქცინაცია არის თუ არა დასაწყისი იმისა, რომ საქართველოში დასრულდეს პანდემია? არის თუ არა ეს ახალი ეტაპი იმისთვის, რომ ჩვეულ ცხოვრებას დავუბრუნდეთ?

– დიახ, პანდემიის დასრულების გზა სწორედ ვაქცინაციაზე გადის. ამიტომ მოვუწოდებ თქვენივე პორტალის საშუალებით მოსახლეობას, რომ მაქსიმალურად აიცრან, თუ გვინდა, რომ დროულად დავუბრუნდეთ ცხოვრების ჩვეულ რიტმსა და რეჟიმს. რაც მეტი იქნება აცრილი და გვექნება ე.წ. საზოგადოებრივი იმუნიტეტი, მით მეტია შანსი, რომ პანდემია დასრულდეს.

– კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვების მოხსნის ფონზე, სამედიცინო პირბადის ტარების მაჩვენებელმა იკლო. ბოლო პერიოდში კი, კიდევ უფრო აქტიურად საუბრობენ, მესამე ტალღაზე. თქვენ პირადად თუ ელოდებით კიდევ ერთ ტალღას საქართველოში?

– ჯერჯერობით, ამ ეტაპზე, ჩვენთან ეპიდსიტუაცია სტაბილიზირდება, ანუ მაჩვენებლები ყოველდღიურად, უკეთესია, მაგრამ, რა თქმა უნდა, გამორიცხვა არაფრის არ შეიძლება. ახლა ასეთი მასშტაბური შემსუბუქებების ფონზე, თუ ჩვენ არ დავიცავთ იმ რეკომენდაციებს, რომელსაც ჯანდაცვის სექტორი იძლევა, მხედველობაში მაქვს პირბადის ტარება, რაც სამწუხაროდ, შემცირდა საქართველოში, დისტანცია, ხელების ხშირი დაბანვა და რაც მთავარია, დიდი შეკრებებისგან თავის არიდება, მაშინ შესაძლებელია, რომ ქვეყანაში ახალმა შემთხვევებმა მოიმატოს. თუ ჩვენ დავიცავთ ყველა რეკომენდაციას, მაშინ მარტ-აპრილს გავივლით და შეიძლება მესამე ტალღას ავცდეთ.

ნიკო ჩოხელი

ნეტავი ვიცოდეთ, ვინ მოიგო მეორე მსოფლიო ომი?! დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა საკმაოდ რთულია და ყოვლისმომცველ, პირუთვნელ განსჯას მოითხოვს. ოღონდ თუკი გულახდილნი ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ პირუთვნელობა ამქვეყნად სანთლით საძებარი გახლავთ და, ბავშვობის დროინდელი თამაშისა არ იყოს, ვისი სულიც გსურსო... სწორედ იმას მოუგია ეგ წყეული ომი. მორჩა და გათავდა!

როგორც ცნობილია, რუსები დაჟინებით ამტკიცებენ, მეორე მსოფლიო ომი ჩვენ მოვიგეთო. ამერიკელები კრიჭაში ჩაუდგნენ და ჯიუტად იმეორებენ: არა, ბატონებო, არაო — ჩვენაო, ჩვენ მოვიგეთო; მეორეც ჩვენ მოვიგეთ და მესამე „ცივი ომიცაო“. ჰოდა, მეოთხესაც მოვიგებთ, გინდ ცივი იყოს და გინდაც ცხელიო. ოდესღაც ზღვათა და ხმელთა მპყრობელი ინგლისელები ბეჯითად ლამობენ პირველობის პალმის მიტაცებას. საცაა ფრანგებსაც გაელვიძებათ მადა და წაიმღერებენ, ჩვენც ნახირ-ნახირო. ერთ მშვენიერ დღეს კი, ვაითუ, გერმანელებს მოელანდოთ, რომ მეორე მსოფლიო ომი მათი გამარჯვებით დასრულდა. ერთი სიტყვით, ამათში რომელია ყველაზე, ყველაზე მართალი, ალაჰმა უწყის!

მაგრამ მოიპოვება კიდევ ერთი ვერსია, ფრიად ორიგინალური და რატომღაც მიჩქმალული, რომელიც მახვილგონიერებითა თუ გონებამახვილობით იწონებს თავს.

ერთი ჩვენებური მაიორი

იტალიაში, რომის სამხრეთით, მონტე-კასინოს ფერდობებზე განლაგებულია სამხედრო სასაფლაო, სადაც განისვენებს 1002 (ათას ორი!) პოლონელი მეომარი. ისინი დაეცნენ მონტე-კასინოსათვის ბრძოლებში.

პოლონეთში, განსაკუთრებით ომისშემდგომ წლებში, ძალზე პოპულარული იყო ჯარისკაცური სიმღერა მონტე-კასინოს ყაყაჩოებზე, რომლებიც „წითლად შეუღებავს პოლონელთა სისხლს“. ამ სიმღერის ნაწყვეტი ჟღერს სახელგანთქმული პოლონელი კინორეჟისორის ანჯეი ვაიდას ბრწყინვალე ფილმში „ფერფლი და ალმასი“.

მონტე-კასინოს ბრძოლებში მონაწილეობდა პოლონელთა მეორე კორპუსი გენერალ ვლადისლავ ანდერსის სარდლობით; სულ იყო დაახლოებით 46 ათასი პოლონელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

1944 წლის 15 თებერვალს დასავლეთის მოკავშირეთა ჯარებმა წამოიწყეს დიდი შეტევა მონტე-კასინოს მიმართულებით. მწვერვალი, რომელიც ბატონობდა ორი მდინარის შესართავზე, წარმოადგენდა გერმანელთა თავდაცვის მთელი სისტემის ღერძს.

ბერები გააფრთხილეს და მონტე-კასინოს მონასტერს 500 ტონა ბომბი დააყარეს. ამას არავითარი ნაყოფი არ გამოუღია.

ამერიკელები, ინგლისელები, ფრანგები, კანადელები, ახალზელანდიელები და ინდოელები სამი თვის განმავლობაში თავგამეტებით უტევდნენ მონტე-კასინოს ფერდობებს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს.

გერმანელები თავგანწირვით იცავდნენ მონასტერს.

11 მაისს დაიწყო გრანდიოზული შეტევა. 2 ათასი ქვემეხი ცეცხლს უშენდა მონტე-კასინოს. გულმოდგინედ ირჯებოდა ავიაცია.

17 მაისს პოლონელთა მორიგი შეტევა წარმატებით დაგვირგვინდა. მათ დაიკავეს სიმაღლეები მონასტრის ჩრდილო-დასავლეთით, რომლებიც აკონტროლებდნენ გზატკეცილს.

ამგვარად, პოლონელებმა აჯობეს ამერიკელებს, ინგლისელებს, ფრანგებს, კანადელებს, ახალზელანდიელებსა და ინდოელებს (სხვათა შორის, მეორე მსოფლიო ომის დასასრულ სხვადასხვა ხალხთა სამხედრო ძალგულოვნებაზე მსჯელობისას სტალინმა პოლონელ მეომრებს მსოფლიოში მესამე ადგილი მიაკუთვნა — რუსებისა და გერმანელთა შემდეგ).

უინსტონ ჩერჩილი თავის გახმაურებულ თხზულებაში („მეორე მსოფლიო ომი“), რომელსაც ნობელის პრემია მიანიჭეს, ქებით მოიხსენიებს პოლონელ მეომრებსა და „მედგარ გენერალ ანდერსს“.

გამოცდილმა პოლონელმა სარდალმა ძალზე კარგად იცოდა მხატვრული სიტყვის ძალა და ფასი. მონტე-კასინოს გადამწყვეტი ბრძოლების გასაშუქებლად მან თავის კორპუსში მიავლინა იმხანად ყველაზე თვალსაჩინო პოლონელი ჟურნალისტი მელქიორ ვანკოვიჩი და ყველაფერი იღონა, რომ მისთვის გაეიოლებინათ მუშაობა ბრძოლების დროსაც და ბრძოლების შემდეგაც.

ვანკოვიჩის წიგნი „მონტე-კასინო“ ამკვიდრებს ლეგენდას პოლონელთა ყველაზე მნიშვნელოვან, ყველაზე სახელგანთქმულ და ყველაზე სისხლისმღვრელ ბრძოლაზე მეორე მსოფლიო ომის წლებში.

ვანკოვიჩის წიგნის ფურცლებზე, მრავალ საგულისყურო ეპიზოდთან ერთად, გვხვდება პოლონელთა მეორე კორპუსის ორი ჯარისკაცის შემდეგი დიალოგი:

— „რა არის აუცილებელი მეორე მსოფლიო ომის მოსაგებად?

— შეჭრა ევროპაში.

— რა არის აუცილებელი, რომ შეჭრა შესაძლებელი გახდეს?

— უნდა გაიხსნას გზა ჩრდილოეთ იტალიისკენ, საიდანაც მოხერხდება შედეგიანი დაბომბვა სამხედრო-სამრეწველო ობიექტებისა ავსტრიაში. მაშასადამე, უნდა დავიკავოთ მონტე-კასინოს მონასტერი.

— რა უნდა გაკეთებულიყო მონასტრის ასაღებად?

— უვნებელყოფა სიმაღლე 593 -ისა.

— ვინ აიღო სიმაღლე 593 ?

— მეოთხე ბატალიონმა.

— პოლკოვნიკ ფანსლაუს შემდეგ ვინ მეთაურობდა მეოთხე ბატალიონს?

— მაიორი მელიქ სომხიანცი.

— მაშასადამე, ვინ მოიგო მეორე მსოფლიო ომი?

— მე მგონი ყველაფერი ნათელია. მეორე მსოფლიო ომი მოიგო მაიორმა მელიქ სომხიანცმა“.

პოლონელი ისტორიკოსი ზბიგნევ ზალუსკი, რომელიც სოციალისტურ პოლონეთში მოღვაწეობდა, გულმოდგინედ ცდილობს დააკნინოს „დასავლეთის პოლონელთა“ როლი მეორე მსოფლიო ომში. საამისოდ იმოწმებს ზემოთ მოყვანილ ტექსტს ვანკოვიჩის წიგნიდან და უწყინარი ირონიით თითქოსდა გვაუწყებს: დახეთ, მეორე მსოფლიო ომის მოგებასაც კი იჩემებენო.

მაგრამ ჩვენთვის აქ სხვა რამ არის საგულისყურო. ზალუსკის სიტყვით, მაიორი მელიქ სომხიანცი იყო გაპოლონელებული სომეხი ქალაქ ლვოვიდან. დიახაც, სომეხთა კოლონია ლვოვში ჯერ კიდევ XVII საუკუნეში არსებობდა და მოაღწევდა XX საუკუნემდეც. ასე რომ, საეჭვო არაფერია ზალუსკის შენიშვნაში მელიქ სომხიანცის შესახებ. მაგრამ პოლონელმა ისტორიკოსმა, ეტყობა, არ იცოდა, რომ პოლონელი მაიორის გვარის წარმომქმნელი ეთნონიმი „სომეხი“ მარტოოდენ ქართულ ენაშია დამკვიდრებული. იგი არ ჭაჭანებს არც თავად სომხურსა და არც სხვა ენებში.

მაშასადამე, საფიქრებელია, რომ მაიორი სომხიანცი წარმოშობით საქართველოდან იქნებოდა. მელიქ სომხიანცის „გამომზეურებას“ მალევე მოჰყვა გამოხმაურებანი და ქართველ ავტორთა გარჯით, საფუძვლიანი ვარაუდი ეჭვმიუტანელ სინამდვილედ იქცა.

ცნობილი ქართველი პოეტი და ესეისტი თამაზ ჩხენკელი იმოწმებდა ქართველი ემიგრანტების ნიკოლოზ მათიკაშვილისა და მიხეილ კვალიაშვილის წიგნაკს „იუნკრები“.

აი, რას ვკითხულობთ დამოწმებულ ფრაგმენტში:

„1921 წლის 25 თებერვლის ღამეა. ტაბახმელაზე საშინელი ქარი ქრის, ხვეტავს და პირში გვაყრის ხორხოშელას და თოვლს. თოვლით ავსებს სანგრებსა და უსწორმასწორობას. თხელ ფარაჯებში გახვეულნი, გაყინულნი, გულმოდგინედ ვდარაჯობთ კუთვნილ სივრცეს. ამ დროს ხაზით გადმოგვცეს ოცეულის უფროსის ბრძანება: წახვალთ სკოლის საუფროსოში და იქ მიიღებთ შემდეგ ბრძანებას პოლკოვნიკ ჩხეიძისგან... გარეთ გამაყრუებელი ქარი ისევ ბობოქრობს. მივდივართ ღრმა თოვლში, მოძრაობა გვიმძიმს. თუ ყურში არ ჩავძახეთ ერთმანეთს, არაფერი გვესმის. ახლა მთავარია, გზა არ აგვებნეს და მტრის ბანაკში არ მოვხვდეთ. სასროლად გამზადებული თოფები ხელში გვიჭირავს. ოთხნი ვართ. არც ერთი 21 წელს არა ვართ გადაცილებული, ტანითაც სუსტი აგებულების ვართ. ყველაზე ჯმუხი აგებულებისაა სომხიანცი, ქართველთა ერთგული და გულადი სომეხი. ყველაზე სუსტი - ლომკაცია, თუმცა მისი გვარი საწინააღმდეგოს მეტყველებს“.

წიგნაკში კიდევ ერთხელ მეორდება ამჯერად უკვე ოთხივე იუნკერის გვარი: მათიკაშვილი, სომხიანცი, ანდრონიკაშვილი, ლომკაცი.

მოგონების ავტორები აღნიშნავენ შემდეგს: „პოლონეთში სამხედრო სამსახურს გადიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 87 მოქალაქე, მათ შორის: 6 გენერალი, 35 უფროსი ოფიცერი და 46 ყოფილი ქართველი იუნკერი“. წიგნაკში ჩამოთვლილია 46-ვე იუნკრის სახელი და გვარი. მე-10 ნომრით წარმოდგენილია „სომხიანცი მელიქი: ტომით სომეხი, საქართველოს ერთგული“. აღნიშნულია, რომ იგი მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, 1988 წელს ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა და ცხოვრობდა ინგლისში.

თამაზ ჩხენკელი ასკვნიდა: „ამრიგად, მონტე-კასინოს ბრძოლებში სახელმოხვეჭილი მელიქ სომხიანცი ის 21 წლის ბიჭია, რომელიც თებერვლის გამყინავ ქარბუქში ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძოდა 1921 წელს ტაბახმელაში და ვისაც თანამებრძოლები 45 წლის შემდეგ „ქართველთა ერთგულ და გულად სომეხად იხსენიებენ“.

შემდგომში ქართული ემიგრაციის ისტორიისა და ემიგრანტული ლიტერატურის თვალსაჩინო მკვლევარმა **რუსუდან დაუშვილმა** გაგვაცნო ყოფილი იუნკრის ვანო ბაქრაძის მოგონება ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორ იოსებ ოცხელის შესახებ. თურმე ზემოხსენებულ მელიქ სომხიანცს სწორედ ამ ბაქრაძესთან ერთად უსწავლია ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში.

აი, რას მოგვითხრობს ვანო ბაქრაძე: „ჩემთან სწავლობდა ერთი სომეხი, გვარად სომხიანცი. არ გავიდოდა თითქმის არც ერთი დღე, რომ ერთმანეთს არ დავტაკებოდით! უფრო ხშირად დამწყები მე ვიყავი. თუმცა ის ჩემზე უფრო ღონიერი იყო და უფრო მეტი მე მხვდებოდა ხოლმე. ამას მაინც არ ვერიდებოდი; პირიქით: თავი გმირად მიმაჩნდა! ვიქნებოდი თორმეტი წლისა“.

ერთ მშვენიერ დღეს, სრულიად მოულოდნელად, ორივე გამოიძახა ოცხელმა. „ვშიშობ, რომ სომხიანცს არა აქვს თქვენთან მეგობრული განწყობილება და ეს მხოლოდ მისი გვარისა და ეროვნების გამო!.. — უთქვამს დირექტორს ვანოსთვის, — ბატონი ოცხელი მთელი საათი გვესაუბრა. გვითხრა: თუ რა დიდი ერი ყოფილა სომხები, მათი მწერლობა და დიდი კულტურა! როგორ ესმოდათ ეს საკითხი ჩვენი ქვეყნის დიდ მოჭირნახულეთ ბაგრატოვანებსა და მათში უფრო საქართველოს აღმშენებელ დავითს და თამარ მეფეს; ურთიერთის სიძულვილს ისტორიული გამართლება არა აქვს! რომ ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო. ეს სიძულვილი ჩვენი საერთო მტრის მახვილია — ამ ორი ერის გულში.. და სხვა ბევრი რამ გვითხრა ბატონმა იოსებმა და დაასკვნა ბოლოს: მე არა მაქვს იმედი, რომ ამის შემდეგ, დღესვე, ბაქრაძე და სომხიანცი გადაეხვევიან ერთმანეთს, მაგრამ ამას გთხოვთ და ვიმედოვნებ, რომ ჩხუბს მოიშლით, ვინაიდან მუშტი-კრივი ჭკუით სუსტებს სჩვევიათ! სჯობს, ჭკუით აჯობოთ ერთმანეთს, ვიდრე მუშტით! ბატონმა იოსებმა სიტყვა დაასრულა, გასასვლელად მოემზადა. მე და სომხიანცი უმალ მივვარდით კარის გასაღებად“...

1921 წლის თებერვალში ბაქრაძე და სომხიანცი, იუნკერთა სასწავლებლის კურსანტები, სხვა იუნკრებთან ერთად, ჩადგნენ თბილისის დამცველთა რიგებში.

„დადგა ჩვენი ქვეყნის ბედის გადამწყვეტი ომი! 1921 წლის 24 თებერვალი! სასტიკი ბრძოლებია, ხშირად ხელჩართული! ჩავვარდი გასაჭირში. ათ ნაბიჯზე მტრის ორი ჯარისკაცი, წითელარმიელი ხიშტებით ჩემკენ მოიწევს. იქნებ წავხდებოდი და მათი მსხვერპლი გავხდებოდი, რომ უკნიდან რიხიანი ხმა არ გამეგონა: — ვაი, დედასა, მაგრად ვანო! ჰკა მაგათ, მაგათი... აქა ვარ! და სწორედ გვერდში ამომიდგა. ვინ?! სომხიანცი! დიახ, სომხიანცი! სითბო ვიგრძენ დაღლილ ძარღვებში. შიშის ნერწყვები გადავყლაპე და კიდევ უფრო მაგრად ჩავჭიდე ხელი თოფს. ქართველმა და სომეხმა ერთად ადვილად ვძლიეთ მტერი! მტერმა ზურგი გვიჩვენა. ჩამოვარდა დროებითი სიწყნარე. მე და სომხიანცი ერთად ვართ! ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს... და აქ ბრძოლის ველზე ორივემ შევასრულეთ იოსებ ოცხელის სურვილი და იმედი: მეგობრულად ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ...“

ხედავთ, მეორე მსოფლიო ომის მოგებამდე მაიორ მელიქ სომხიანცს თავის დროზე, იუნკერად ყოფნისას, ჩვენშიც მოუხვეჭია კეთილი სახელი.

ჩვენებური მაიორის მიერ მეორე მსოფლიო ომის მოგება, ვგონებ, საუცხოო ხუმრობად ჩაეთვლება უცნობ პოლონელ ჯარისკაცს, მაგრამ ხუმრობა იქით იყოს და მელიქ სომხიანცი ალბათ მოიგებს ჩვენს გულებს და დავიწყების ბურუსიდან ეგებ არდავიწყების ნათელში შეაბიჯოს.

მოამზადა

ლაშა გიორგაძემ

სურათებზე: მელიქ სომხიანცი — პოლონეთის არმიის ოფიცერი. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. გარდაიცვალა ინგლისში; სამხედრო სასაფლაო მონტე-კასინოს ფერდობებზე

რა სიმდაბლეა, რა ვერაგობა!..

ფარული ჩანაწერების თემა განსაკუთრებით მწვავედ, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დადგა. პირველი ფარული ჩანაწერი „ქართული ოცნების“ ქვეყნის სათავეში მოსვლიდან მალევე გამოქვეყნდა, რამაც ერთ-ერთი მაღალჩინოსნის თანამდებობა შეიწირა და მასთან ერთად მმართველი გუნდის რეპუტაციასაც დიდი დარტყმა მიაყენა, რომელმაც საკმაოდ აქტიურად დაიწყო მისი წინამორბედი ხელისუფლების მიერ გაკეთებული ფარული ჩანაწერების განადგურება.

ფაქტია, ქვეყანა თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობითა და მერყევი, არამდგრადი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, არაერთი ქვეყნის სპეცსამსახურების სამიზნე და მოქმედების ობიექტია, გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მტრულად განწყობილი ქვეყნების გარდა, საქართველოში ასევე საკმაოდ აქტიურად მოქმედებენ ჩვენი მეგობარი ქვეყნების სპეცსამსახურებიც. გარდა ქართული სპეცსამსახურებისა, კიდევ ვის შეუძლია აწარმოოს ფარული მიყურადება და შემდეგ ამ ჩანაწერების პოლიტიკური პროცესების სამართავად გამოყენება? და მაინც, ვის შეეძლო ფარული მიყურადება ეწარმოებინა ბიძინა ივანიშვილის ოჯახის წევრებსა და მაღალჩინოსნებზე?

For.ge შეეცადა გაერკვია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, მაგალითად ის, თუ ვინ შეიძლება აწარმოებდეს ფარულ მიყურადებას გარდა ქართული სპეცსამსახურებისა და ყველაზე მთავარი – ვისზე იყო ეს ჩანაწერი გათვლილი და შეასრულა თუ არა თავისი დანიშნულება. ასევე, რა უნდა ვიცოდეთ ფარულ მიყურადებებზე, რათა ნებისმიერი ჩვენგანი არ გახდეს თუნდაც უნებლიე მსხვერპლი, ჩვენს კითხვებს ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ბესო ალადაშვილი პასუხობს:

სუფლებას სერიოზული პრობლემები აქვს. ანუ, მართვის ეფექტიანობა დგება კითხვის ნიშნის ქვეშ, რომ მმართველი გუნდი ვერ ფლობს სიტუაციას და ვისაც როგორ და რა დროსაც უნდა იმ დროს მოუსმენს თანამდებობის პირებს და შემდეგ სიტუაციისდა შესაბამისად გამოიყენებს ამ ჩანაწერს?

– ამიტომაც არის მნიშვნელოვანი ჩაწერის თარიღის დადგენა. თუ ღარიბაშვილი იმ დროს იყო პრემიერ-მინისტრი, ეს ეროვნული უსაფრთხოებისთვის არის უდიდესი დარტყმა. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ ასეთი რამ ხდება არა მარტო საქართველოში, არამედ სხვაგანაც. ცოტა ხნის წინ სერბეთის პრეზიდენტის ფარული მოსმენების ჩანაწერები გამოქვეყნდა. აღმოჩნდა, რომ თვითონ პრეზიდენტს თავისივე ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტო უსმენდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვაქვს პროდასავლური კურსი, მე არ გამოვრიცხავ, რომ როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის შიგნითაც არის ძალიან ბევრი შენიღბული, იგივე პრო-

ბესო ალადაშვილი: ჩვენი სპეცსამსახურები ხშირად კომპრომატებს ერთმანეთზე აგროვებდნენ და იგი კლანური დაპირისპირებისთვის გამოიყენებოდა

ბესო ალადაშვილი: საზოგადოების ინტერესი ამ თემისადმი ყოველთვის დიდი იყო, არის და იქნება. ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ბერა ივანიშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილის შესაძლო სატელეფონო საუბრის ფარული ჩანაწერის გამო აგორებული სკანდალია. საეჭვოა, სატელეფონო საუბრების ფარული მოსმენის პრობლემები ამით დამთავრდეს, შიდა და საგარეო პოლიტიკური მოვლენების დაძაბვის კვალობაზე, ახალ ფარულ ჩანაწერებს უნდა ველოდოთ. ფაქტია, რომ ეს საკითხი უკვე მრავალი წელია, მსოფლიოს პრობლემადაა ქცეული. უსმენენ ყველას: ცოლებს, ქმრებს, შვილებს, საყვარლებსა და საყვარლის საყვარლებს, ბიზნესკონკურენტებს, ხელისუფლებასა და ოპოზიციას – მოკლედ, მტერ-მოყვარეს. განსაკუთრებით საინტერესოა, ვინ უსმენს და – როგორ? მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სპეცსამსახურები კრიმინალთან და ჯაშუშებთან საბრძოლველად ოპერატიულ ტექნიკას იყენებენ. სხვა საკითხია, კანონიერად ხდება თუ არა ამ ტექნიკის გამოყენება. ამიტომ უნდა გავაცალკევოთ კანონიერი და უკანონო ფარული მოსმენების შემთხვევები. რამდენი მოთამაშეა „ფარული მოსმენების მოედანზე“? – დღეისთვის ამ „მოედანზე“ ერთადერთი კანონიერი და ოფიციალური მოთამაშე სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურებია. სასამართლოს ან პროკურატურის სანქციით მოსმენის უფლება აქვთ ადგილობრივ სამართალდამცავებსა და სპეცსამსახურებს. დავიწყოთ იქიდან, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა ფარული მოქმედებების გარეშე არ არსებობს. დღეისათვის კანონიერი ფარული მოსმენების ასევე, სხვა ოპერატიული ღონისძიებების ჩატარებას არეგულირებს საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“. ამ კანონში ჩამოთვლილია ის სახელმწიფო სტრუქტურები (სპეციალური სამსახურები), რომელთაც აქვთ ამგვარი საქმიანობის ჩატარების უფლება. გაწერილია შესაბამისი პროცედურებიც.

„ვინც ფლობს ინფორმაციას, ის ბატონობს სხვებზე“, – ესაა ჭეშმარიტება, რომელსაც ყავლი არ გასდის და ინფორმაციის მოპოვების ცდუნება იმდენად დიდია, რომ სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები, ტერორისტებისა და ნარკომაფიის ორგანიზაციების წევრობასა და ჯაშუშობაში ეჭვმიტანილებთან ერთად, მოქალაქეებსა და ორგანიზაციებსაც დიდი სიამოვნებით უსმენენ.

თავის დროზე ნაცების „ვარდოსანმა“ ძალოვნებმა საქართველოში უამრავი ჩინური წარმოების მოსასმენი სპეცტექნიკა შემოყარეს და, როგორც ამბობდნენ, მთელ საქართველოს უსმენდნენ. მაგრამ ტექნიკურად, უბრალოდ, შეუძლებელია, რომ ყველას მუდმივად მოუსმინო. უპირატესობა ენიჭებოდა პოლიტიკური (მათ შორის იყვნენ საკუთარი პარტიის ლიდერები და აქტიური წევრები), ეკონომიკური, საზოგადოებრივი და რელიგიური წრეების უკანონო ფარულ მიყურადებას. პერიოდული ფარული მოსმენების კონტინგენტი კი იცვლებოდა კონკრეტული დავალების შესაბამისად. გააჩნია, თუ რა დავალება წამოვიდოდა „ზემოდან“.

„ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდში უკანონო ფარული ჩანაწერები და მათი მონტაჟის საფუძველზე აგებული „ტელეშოუები“ ლამის ერთადერთი მტკიცებულება იყო სასამართლო პროცესებზე. საერთოდ, ოპერატიული ტექნიკა სახიფათო „სათამაშოა“. ხშირად ჩვენი სპეცსამსახურები და ძალოვანი უწყებები კომპრომატებს ერთმანეთზე აგროვებდნენ. ყველა ოპერატიულ დანაყოფს ჰქონდა თავისი ოპერატიული ტექნიკა და ისინი წლების განმავლობაში, პირადი ინტერესებისა და კლანური დაპირისპირებისთვის გამოიყენებოდა. არაა გამორიცხული, ეს დღესაც გრძელდებოდეს და ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის რესურსი რეალური მტრების ნაცვლად, პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ იხარჯებოდეს. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე სატელეფონო საუბრების ფარული მოსმენა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებსაც თავისუფლად შეუძლიათ, რაშიც, სამწუხაროდ, ჩვენი კონტრდაზვერვის „ასები“ ხელს ვერ უშლიან. დამტკიცებული ფაქტია, რომ ყველა ქვეყნის საელჩო და დიპლომატიური მისია აღჭურვილია რადიოელექტრონული დაზვერვის თანამედროვე აპარატურით და ცდილობს, მისთვის საინტერესო სატელეფონო ზარები აკონტროლოს და ისე მოახდინოს „მართვადი ქაოსის“ რომელიმე სცენარის ოპერატიული კოორდინირება.

როგორ უნდა მივხვდეთ, რომ გვისმენენ? რეალურად ამას მხოლოდ მაშინ შევიტყობთ, როდესაც წინ დაგვხვდება ჩვენივე ნასაუბრები. საჯარო მოსამსახურეებმა (საიდუმლო ინფორმაციასთან წვდომის მიხედვით), პოლიტიკოსებმა, ბიზნესმენებმა, ჟურნალისტებმა და რიგითმა მოქალაქეებმაც უნდა გაითვალისწინონ, რომ დღეს გლობალურ მსოფლიოში უკანონო ფარული მოსმენებისგან თავდაცვის ყველაზე კარგი საშუალება შემდეგია: ნაკლები ისაუბრეთ ტელეფონით კონფიდენციალურ თემებზე და იქნებით დაცული.

– ბოლო ფარული ჩანაწერი აქამდე გამოქვეყნებული ჩანაწერებისგან ფიგურანტებიდან გამომდინარე განსხვავებულია. როგორც მოვისმინეთ ჩანაწერებიდან, გარკვეული საკითხების მოგვარებას ცდილობს ბერა ივანიშვილის დაცვა. როგორ დაინახეთ ეს შემთხვევა, მოქმედებს თუ არა დაცვა მისი უფლებამოსილების ფარგლებში, რა ვალდებულებები აქვს დაცვის სამსახურს და ხომ არ გასცდა ის კომპეტენციის ფარგლებს?

– ჩვენ ვსაუბრობთ კერძო დაცვის სამსახურზე და ბუნებრივია, ის თავისი დებულებით მოქმედებს. ის ფუნქცია, რომ მან რაღაც სადამსჯელო ზომები ჩაატაროს, ბუნებრივია, იკრძალება. მას აქვს ვალდებულება მოახდინოს დანაშაულის პრევენცია, დაიცვას ობიექტი, ეს იქნება შენობა-ნაგებობა თუ ფიზიკური პირი. მაგრამ ის, რაზეც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ, ეს უკვე სცილდება დაცვის სამსახურის კომპეტენციას, გატაროს თუნდაც აღმზრდელობითი მუშაობა. მან მის ხელთ არსებული ინფორმაცია უნდა გადასცეს შესაბამის სტრუქტურას, მიეცეს ამას კანონის ძალა და დაიწყოს მოკვლევა. ასე რომ, დაცვის სამსახურის კომპეტენცია არ არის საქმეების გარჩევა. ჩვენ, მოქალაქეებს გვაქვს თავდაცვის უფლება, მაგრამ თუ ძალას გადავამეტებთ, არაპროპორციულ ძალას გამოვიყენებთ, მაგალითად, ვიღაც სიტყვით გვემუქრება და ჩვენ იარაღს ვესვრით, ეს უკვე ძალის გადამეტებაა. ამიტომაც, სამართალდამცავი სისტემები უნდა ჩაერთოს ასეთ შემთხვევებში.

– დავუშვათ, ეს ჩანაწერები არის გაკეთებული 2017 წელს, როგორც ამას ოპოზიცია ამტკიცებს, რა დროსაც ღარიბაშვილი უკვე აღარ არის თანამდებობაზე, საინტერესოა, რომელ მინისტრს უნდა დაერეკა მისთვის? აქვე ფიგურირებს სახელმწიფო დაცვის სამსახურის ხელმძღვანელის ანზორ ჩუბინიძის გვარიც. მიანიშნებს თუ არა ეს სახელმწიფო ინსტიტუციების სისუსტეზე, რომ ქვეყნის მართვაში ხელი-

რუსული კურსის მომხრე, ეს იქნება აგენტურა თუ რუსეთის მიმართ სიმპათიით განწყობილი ხალხი. ფაქტია, რომ ასეთი ძალები არიან, მაგრამ რა დოზით, რომელ სტრუქტურებში და რა თანამდებობები უკავიათ, ეს უკვე ჩვენმა კონტრდაზვერვამ უნდა იცოდეს.

– როგორ ფიქრობთ, ვინ იყო ამ ჩანაწერების სამიზნე, ვისზე იყო გათვლილი და შეასრულა თუ არა თავისი ფუნქცია?

– მე არ ვიცი, რამდენად ეფექტიანი იქნება გამოძიება, სიმართლე გითხრათ, არ მაქვს დიდი იმედი. გახსოვთ თქვენ ფარული მოსმენების ბევრი ასეთი საქმე ყოფილა აღძრული, მაგრამ შედეგი თითქმის ნულია! ამ საქმეში ძალიან მნიშვნელოვანია, რა პერიოდშია საუბრები ჩაწერილი. ამის დადგენა როგორ მოხდება, მე არ ვიცი, რადგანაც მხარე, ვინც ეს ჩანაწერები გააკეთა, არ თანამშრომლობს გამოძიებასთან. ჟურნალისტს აქვს უფლება, წყარო არ დაასახელოს, ეს გასაგებია, ასე ჩვენ ვერასოდეს ვერ მივხვდებით, ეს ვისგან მოდის, მაგრამ ვინ იყო დარტყმის მთავარი სამიზნე, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, სამიზნე იყო ირაკლი ღარიბაშვილი, ივანიშვილების ოჯახი და, ზოგადად, „ქართული ოცნება“.

ესაუბრა
შორენა გონგლაძე

საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა მიღება გრძელდება

საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრაციის შედეგად შეირჩნენ, გუშინ მხარდამჭერ ცენტრ „კრწანისის“ ბაზაზე შეიკრიბნენ, სადაც მათ საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის გავლამდე შესაბამისი პროცედურები ჩაუტარდათ.

საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში 18-დან 35 წლამდე საქართველოს მოქალაქეები მიიღებიან. სამხედრო მოსამსახურეები უზრუნველყოფილი იქნებიან ნატოს სტანდარტების უმაღლესი ხარისხის უნიფორმით, სამხედრო აღჭურვილობით, კვებით, უფასო სამედიცინო მომსახურებით, სოციალური და სამართლებრივი დაცვით.

პირველად თავდაცვის ძალების ისტორიაში, გასულ წელს თავდაცვის მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, საწყისი საბრძოლო მომზადების კურსზე ჩარიცხული რეკრუტები 500 ლარის ოდენობით ანაზღაურებას იღებენ.

საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის მიმართ ინტერესი ირაკლი ღარიბაშვილის თავდაცვის მინისტრად მუშაობის და გატარებული რეფორმების შემდეგ გაიზარდა. სტატისტიკური მონაცემებით, თითქმის სრულად შეჩერდა ჯარიდან გადინების პროცესიც. რეკრუტები საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს, ახალქალაქში მდებარე საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრში გაივლიან.

მშვიდობისა და მეგობრობისთვის – პრეზიდენტ ჯონ კენედის ინიციატივა, რომელსაც შედეგადაც „მშვიდობის კორპუსი“ დაფუძნდა, უკვე სამოცი წლისაა. ათწლეულების განმავლობაში ამერიკელი მოხალისეები მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში ჩავიდნენ. მათ შორის საქართველოშიც. ქვეყანაში მოხალისეები რამდენიმე მიმართულებით მუშაობენ, თუმცა ყველაზე ცნობილი მაინც საგანმანათლებლო პროგრამაა, რომლის ფარგლებშიც ინგლისურის მასწავლებლები სხვადასხვა რეგიონში საჯარო სკოლებში ინგლისურს ასწავლიან. ბევრი მათგანი სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც საქართველოს მეგობრად და გულშემატკივრად რჩება. მასპინძელ ოჯახებთან კავშირი კი წლების შემდეგაც აქვთ.

„ახალგაზრდა ამერიკელები საზღვარგარეთ წავლენ და სხვა ქვეყნების მოქალაქეებთან ერთად იცხოვრებენ, იმსახურებენ და მათგანაც ისწავლიან“ – ეს იდეა 60 წლის წინ ამერიკის პრეზიდენტმა ჯონ ფიცჯერალდ კენედიმ წარმოადგინა. აღმასრულებელი ბრძანებით კი „მშვიდობის კორპუსი“ შექმნა, რომლის მისიადაც მეგობრობისა და მშვიდობის წახალისება განსაზღვრა. „ყველაზე გამორჩეული ისაა, რომ „მშვიდობის კორპუსის“ წევრები არ იღებენ ანაზღაურებას. ისინი წავლენ საზღვარგარეთ და იცხოვრებენ იმავე სტანდარტებით, როგორც ამა თუ იმ ქვეყნის ხალხი. ისინი საკუთარი ცხოვრების 2-3 წელიწადს დაუთმობენ მშვიდობისა და იმ კავშირების შექმნას, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასტაბით ადამიანებს გააერთიანებს“, – ამბობდა პრეზიდენტი.

კენედის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის დირექტორი ალან პრაისი ამბობს, რომ ეს იმ ეპოქისთვის ძლიერ თამამი იდეა იყო, თუმცა 60-წლიანმა წარმატებამ აჩვენა, რომ მისია განხორციელდა. „ეს ფანტასტიკური იდეა იყო. დიდი მადლობა ამ გულმოდგინე შრომისთვის მოხალისეებსა და მასპინძელ ქვეყნებს. ვფიქრობ, მშვიდობისა და მეგობრობის წასახალისების ეს გრძელვადიანი სტრატეგია და მიზანი ძალიან წარმატებული იყო“, – ამბობს ალან პრაისი. ამ 60 წლის განმავლობაში მსოფლიოს 140-ზე მეტ ქვეყანაში 240 ათასზე მეტი ამერიკელი მოხალისე ჩავიდა. „მშვიდობის კორპუსის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ამბობს, რომ მოხალისეების სია ბევრი ნიშნით ძალიან განსხვავებული და მრავალფეროვანია.

მშვიდობის კორპუსი – 60 წელი მეგობრობისა და მშვიდობის წასახალისებლად

ასეთ წარმატებას პრეზიდენტი კენედიც ვერ წარმოიდგენდა!

„ამერიკის მშვიდობის კორპუსის“ მოხალისეების ასაკი 20 წლიდან 85 წლამდე მერყეობს. მათი უმეტესობა 20-იდან 30 წლამდეა, მაგრამ მალავიში პროგრამის დირექტორის პოსტზე ყოფნისას ჩვენ იქ პროგრამის ისტორიაში ყველაზე ხანდაზმული მოხალისე გვყავდა – 82 წლის არაჩვეულებრივი, ენერგიული ადამიანი“, – ამბობს ქეროლ სპანი, „მშვიდობის კორპუსის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

სპანი თავად 26 წლის იყო, როდესაც რუმინეთში მოხალისედ წავიდა. კომუნიზმის დაცემიდან სამი წლის შემდეგ. მაშინ



კით უებერი

ზოგი ეჭვითაც უყურებდა, თუმცა ამ გამოცდილებამ მისი ცხოვრება შეცვალა.

„ბევრ მოხალისეს ემართება ის, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში კონკრეტული მოლოდინებით ჩადის. გაქვს მსოფლმხედველობა, შეხედულება იმაზე, რატომაა ყველაფერი ისე, როგორც არის. შემდეგ ცხოვრობ და მუშაობ იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც შენგან განსხვავდებიან და თუკი საქმეს ცნობისმოყვარეობით უდგები, იგებ, სწავლობ, რა არის ამ ყველაფრის მიღმა, რატომ ხდება მოვლენები იმისგან განსხვავებულად, როგორც ეს შენს ქვეყანაშია ან რატომ აქვს ამ ხალხს ესა თუ ის ღირებულებები, როგორია მათი ისტორია“, – განმარტავს ქეროლ სპანი.

კით უებერი მოხალისედ საქართველოში 2014 წლის აპრილში გააგზავნეს. ამბობს, რომ ძალიან გაუმართლა. 2 წელი წალკაში, მრავალეთნიკურ დასახლებაში გაატარა. ცხოვრობდა ოჯახსა და გარემოში, სადაც ბევრისთვის პირველი ამერიკელი იყო, ვინც მათ ოდესმე შეხვედრია. ამიტომ პასუხისმგებლობას ყოველთვის განსაკუთრებულად გრძნობდა.

„საქართველოს შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი. რუსეთსა და რეგიონს ვსწავლობდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რაც მეგონა რომ ვიცოდი, ის სულაც არ იყო საკმარისი. ვიცოდი, ლამაზი ბუნების, გემრიელი საჭმლის შესახებაც, მაგრამ მახსოვს, როგორი დეზორიენტირებული ვიყავი გრძელი, გრძელი ფრენის შემდეგ თბილისში ჩასული“, – იხსენებს უებერი და იქვე ამბობს, რომ ძალიან გაუმართლა, რომ საქართველოში და განსაკუთრებით კი მრავალეთნიკურ რეგიონში მოხვდა: **„ეს ჩემთვის არაჩვეულებრივი გამოცდილება იყო. ვმუშაობდი წალკაში, პირველი მოხალისე ვიყავი ვინც იქ გააგზავნეს, ნამდვილად არ იყო ადვილი ადგილი საცხოვრებლად, მაგრამ ძალიან საინტერესო იყო, რომ შემეძლო ახალი გზა გამეკვალა. ბევრისთვის პირველი ამერიკელი ვიყავი, ვისაც შეხვდნენ და ძალიან დიდი პასუხისმგებლობა მქონდა, რომ კარგი შთაბეჭდილება მომეხდინა“.**

კითი წალკის საჯარო სკოლაში, ადგილობრივ მასწავლებელთან ერთად, წყვილში თითქმის ყველა კლასის მოსწავლეს ინგლისურს ასწავლიდა. სკოლა მრავალეთნიკური იყო. ამბობს, რომ ეთნიკურად სომეხ და ბერძენ მოსწავლეებთან რუსულად კომუნიკაცია უხდებოდათ, ქართველებთან კი ქართულად. თითოეულ კლასში კი განსხვავებული მიდგომა სჭირდებოდათ და სამუშაო ძალიან საინტერესო იყო. თუმცა ყველაზე დიდი სითბოთი მაინც მასპინძელ ოჯახსა და მათთან გატარებულ დროს იხსენებს:

„მყავდა მასპინძელი ოჯახი: დედამამა, და-ძმა და ბებია: მარი, თაზო, ედო, ხატია და ნანული. ძალიან ინტეგრირებული ვიყავი ოჯახში, პირველივე დღიდან უხაროდათ, რომ იქ ვიყავი, ოჯახის წევრად მაგრძნობინებდნენ თავს. ზაფხულში თავისთან ერთად წამიყვანეს დასასვენებლად ბათუმში, მასპინძელ მამას კი ხშირად თავის მეგობრებთან ერთად გასართობად დავყავდი. როდესაც ის თბილისში სამსახურში მიდიოდა, კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი, რომ ჩემი პატარა ძმისთვის კარგი მაგალითი მიმეცა“, – ამბობს უებერი.

„ამერიკის მშვიდობის კორპუსი საქართველოში“ კი 20 წლისაა და 2001 წლიდან მუშაობს. ამ დრომდე ქვეყანაში 945 მოხალისე იყო ჩასული. ისინი 3 სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებულ პროგრამაში მონაწილეობენ.

პროგრამა, რომელიც საგანმანათლებლო პროცესში მოხალისეების ჩართვას და რეგიონებში ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად ინგლისურის სწავლებას გულისხმობს, ქვეყანაში „მშვიდობის კორპუსის“ მუშაობის პირველივე წლიდან მოქმედებს.

განათლების და ახალგაზრდების გაძლიერების პროგრამის მენეჯერი და ამჟამად პროგრამებისა და ტრენინგების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თეო ნეფარიძე ამბობს, რომ გასულ წელს განათლების პროგრამის ყველა მოხალისე კვირაში ადგილობრივ მასწავლებელთან ერთად წყვილში 1200-მდე გაკვეთილს ატარებდა. 36-კვირიანი სასწავლო წლის განმავლობაში კი 43 ათასი ასეთი გაკვეთილი ჩატარდა. „გვჯერა, რომ ამდენი ათეული ათასი გაკვეთილი უშედეგოდ არ ჩაივლიდა“, – ამბობს ნეფარიძე.

„მშვიდობის კორპუსის“ მეორე პროგრამა ინდივიდუალური და ორგანიზაციული განვითარების პროექტებს გულისხმობს და ასევე 2 წლით მასპინძლობს მოხალისეებს. ისინი ადგილობრივ სამოქალაქო-სათემო ორგანიზაციებთან ერთად სხვადასხვა პროექტზე მუშაობენ სოციალური თუ ეკონომიკური განვითარებისთვის. გასულ წელს სხვადასხვა ორგანიზაციულ პროექტში 1500-მდე ბენეფიციარი იყო ჩართული.

მესამე პროგრამა კი უკვე წინასწარ შემუშავებული, სპეციალიზებული პროექტების ფარგლებში 9-12 თვით ანაწილებს მოხალისეებს. ისინი მუშაობენ საგანმანათ-

ლეიდი ვანესა რეიესი

ლებლო რესურს-ცენტრებში, პროფესიულ სასწავლებლებში, უნივერსიტეტებში, მუნიციპალიტეტებებთან და ა.შ.

მოხალისეთა დიდი ნაწილისთვის გამორჩეულად დასამახსოვრებელი სწორედ ქართველ კოლეგებთან თანამშრომლობა და მოსწავლეების, მასწავლებლებისა თუ მასპინძელი ოჯახის წევრების მათდამი დამოკიდებულებაა. მათ შორის ერთ-ერთია ლეიდი ვანესა რეიესი, რომელიც სამეგრელოში, სოფელ გაჭედილში მუშაობდა.

„ორი მასპინძელი ოჯახი მყავდა, ერთი – ხაშურში ტრენინგების დროს და მეორე – მომდევნო ორი წლის განმავლობაში. მათთან ურთიერთობებს დღემდე ძალიან ვაფასებ. მექცეოდნენ როგორც საკუთარ დას, საკუთარ შვილს. 6 წელია თითქმის, რაც საქართველოდან დავბრუნდი, მაგრამ დღემდე გვაქვს კავშირი. ამ კვირაში დედის დღე იყო და ჩემს მასპინძელ-დედებს მივულოცე. მათგან სიყვარულით სავსე პასუხი მივიღე და მეც იგივე განცდები მაქვს, ისინი სულ ჩემს გულთან ახლოს არიან. ველოდები როდის შევძლებ, უკან დაბრუნებას“, – ამბობს ლეიდი.

საქართველოდან ამერიკაში დაბრუნების შემდეგ ლეიდიმ სწავლა გააგრძელა. მალევე გაიგო, რომ ვაშინგტონში პირველი ქართული რესტორანი იხსნებოდა და გადაწყვიტა, რომ საქართველოსთან კავშირს ასე მაინც შეინარჩუნებდა და იქ მუშაობა დაიწყო.

გლობალურმა პანდემიამ ბევრი მოხალისის გეგმა შეცვალა და პროგრამის მონაწილეთა და მასპინძელთა უსაფრთხოების გამო ამერიკამ მთელი მსოფლიოდან მოხალისეების ევაკუაცია მოახდინა. საქართველოდან 96 მოხალისის ევაკუაცია მოხდა. თეო ნეფარიძე ამბობს, რომ როგორც კი მუშაობის უსაფრთხოდ აღდგენის საშუალება შეიქმნება, მოხალისეები ქვეყანაში დაბრუნდებიან. „გასულ ზაფხულს მოხალისეების ჩემი ჯგუფის წევრებს ჩვენი იქ ყოფნის 5 წლის იუბილის აღნიშვნა საქართველოში ერთად ჩასვლით გვინდოდა, მაგრამ პანდემიის გამო გეგმები შეიცვალა და იმედია, ახლო მომავალში მაინც შევძლებთ ამის გაკეთებას“, – ამბობს ლეიდი და დასძენს, რომ თუ ეს გეგმა ვერ გამართლდა, თავად მაინც წავა: „აუცილებლად ჩავალ, მინდა მოვინახულო ჩემი მასპინძელი ოჯახები, ჩემი გარშემომყოფები, ჩემი სკოლა.... სკოლაში 100-მდე მოსწავლე იყო და თითქმის ყველას ვასწავლიდი. ბავშვები მოსიყვარულეები და გახსნილები იყვნენ, უხაროდათ, რომ იქ ვიყავი. ჩემი კოლეგა მასწავლებლები კი უბრალოდ არაჩვეულებრივები იყვნენ. მათ სულ ღიმილით ვიხსენებ, ყოველდღე ისე მიღებდნენ, როგორც საკუთარი ჯგუფის წევრს... ეს მენატრება ყველაზე მეტად...“

კით უებერი ამბობს, რომ ქართული კულტურა მას „თან გამოჰყვა“ და ახლა უკვე ვაშინგტონში აგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას, მის ირგვლივ ქვეყნის შესახებ ინფორმაციისა და დადებითი განწყობის გავრცელებას. ყოფილი მოხალისე ფიქრობს, რომ 60 წლის შემდეგ, იდეის ასეთ წარმატებას, გავლენასა და შედეგებს ალბათ პრეზიდენტი კენედიც ვერ წარმოიდგენდა...

ეკა მაღალდაძე

კორეელი დიქტატორის და ამერიკას ემუქრება

ჩრდილოეთ კორეის ლიდერის დამ კიმ იო ჩჟონმა აშშ-ისა და სამხრეთ კორეის ერთობლივი წვრთნები გააკრიტიკა.

„რჩევა შეერთებული შტატების ახალ ადმინისტრაციას, რომელიც ოკეანის გადაღმიდან ჩვენს მიწაზე დენთის სუნის გავრცელებას ცდილობს. აშშ-ს მომავალი ოთხი წლის განმავლობაში მშვიდად ძილი თუ სურს, უკეთესი იქნება, პირველი ნაბიჯებით მყრალი სუნი არ დააყენონ“, – განაცხადა კიმ იო ჩჟონმა.

კიმ ჩენ ინის დამ ასევე აღნიშნა, რომ „სამხრეთ კორეამ თბილი მიდგომის ნაცვლად, ომისა და კრიზისის გზა აირჩია“.

„თუ ეს მიდგომა უფრო პროვოკაციული გახდება, განსაკუთრებულ ზომებს მივიღებთ“, – ნათქვამია კიმ იო ჩჟონის განცხადებაში.

რატომ დუმს რეგულატორი?

ქართული ბანკები, სავარაუდოდ, გარიგდნენ და მოსახლეობის ანაბრებზე სარგებელი მკვეთრად დაწიეს

კომერციული ბანკების ნაწილმა დოლარში განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი შეამცირა. ამის პარალელურად კი ლარში გაცემულ საბანკო პროდუქტებზე საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა.

საბანკო ასოციაციაში განმარტავენ, რომ ანაბრებზე პროცენტის კლება სისტემური ხასიათის არაა და ეს გადაწყვეტულება ყველა ბანკს არ მიუღია, გარდა ამისა, ვინც შეამცირა, ისიც მინიმალურად, 0.25%-1%-ით.

„კონკრეტულმა ბანკებმა ზოგიერთ დეპოზიტზე შეამცირეს პროცენტები, ამას სისტემური ხასიათი არ ჰქონია, შეიძლება ითქვას, რომ ეს დოლარიზაციის პროექტიდან გამომდინარე შემდეგი საფეხურია. ბანკებში უცხოურ ვალუტაში ლიკვიდობა მაღალია და მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო, უცხოურ ვალუტაში შენატანებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება. ლარიზაციის პროცესში ერთ-ერთი ნაკლები წინსვლა სწორედ დეპოზიტების მაჩვენებელშია. დღეის მდგომარეობით, კონკრეტულმა ბანკებმა კონკრეტულ პროდუქტებზე შეცვალეს პროცენტები, თუმცა ვფიქრობ, რომ ამან შესაძლოა სისტემური ხასიათი მიიღოს. უცხოურ ვალუტაში სადეპოზიტო მიმართულებით პროცენტების შემცირება კრიზისის მიუხედავადაც მოსალოდნელი იყო, თუმცა კრიზისმა პროცესს ხელი შეუწყო. მეორე კვარტლიდან ველოდებით აქტივობის ზრდას, ასევე შედეგები დამოკიდებული იქნება ბანკების ლიკვიდობაზეც. გარდა ამისა, ზოგიერთ საბანკო პროდუქტზე საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა მისი რისკიანობიდან გამომდინარე და არც ამ შემთხვევაში გვქონია სისტემური ხასიათი, დღეს სესხებზე მოთხოვნა ძალიან მცირეა. როგორც კი აქტივობა გაიზრდება და სიტუაცია დასტაბილურდება, მოლოდინი გვაქვს, რომ საპროცენტო განაკვეთები შემცირდება“, — განმარტა საბანკო ასოციაციის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ძნელაძემ.

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი რომან გოცირიძე ამბობს, რომ ბანკების ნაწილმა ერთმანეთში მოილაპარაკეს და ერთდროულად მკვეთრად დაწიეს ანაბრების პროცენტები. მისი თქმით, საქართველოს საბანკო სისტემაში 35 მილიარდი ლარის ეკვივალენტი დეპოზიტებია განთავსებული, აქედან 62 პროცენტი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული. ფიზიკური პირების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია და ანაბრების 77 პროცენტი უცხოურ ვალუტაში (ძირითადად, დოლარში) არის განთავსებული.

„ჩვენი მოქალაქეების დანაზოგების უდიდესი ნაწილი ორ მსხვილ ბანკშია თავმოყრილი. რა გააკეთა ამ ორმა დიდმა ბანკმა, „თიბისიმ“ და „საქართველოს ბანკმა“? გადაწყვიტა, მუქთად ჩაიგდოს ხელში ეს მილიარდები. სავარაუდოდ, მოილაპარაკეს სულ ახლახან ერთმანეთში და ერთდროულად მკვეთრად დაწიეს ანაბრების პროცენტები. დღეისათვის, მაგალითად, ერთწლიან ანაბარზე სარგებელი დოლარში 1,25-1,35 პროცენტია, ევროში-0,45 პროცენტი. ალბათ გაიფიქრეთ, ამით სესხის პროცენტსაც ხომ შეამცირებენ და იქნებ ეშველათ მომხმარებლებსო? არ იზამენ. შარშანაც შეამცირეს ანაბრის პროცენტები (მათ შორის ლარში), მაგრამ კრედიტები უცხოურ ვალუტაში პირიქით, 0,9 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ეროვნულ ვალუტაში ფაქტობრივად იგივე დარჩა (მხოლოდ 0,2 პროცენტით შემცირდა).

რას აკეთებს ამ დროს ეროვნული ბანკი, ანტიმონოპოლიური რეგულატორი ამ სფეროში? არაფერს. ეს არაა პირველი შემთხვევა მსხვილ ბანკებს შორის საეჭვო გარიგებებისა, მაგრამ ეროვნული ბანკს ამის შესწავლითაც კი არ შეუწუხებია თავი. დეპოზიტებზე პროცენტების შემცირებას როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზები აქვს, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ბანკებს შორის შესაძლო გარიგებას, უფრო პირიქით-ამ მიზეზებზე გადაბრალებით ხელ-ფეხი ეხსნებათ სამოქმედოდ“, — ამბობს გოცირიძე.

ფინანსისტი და პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი თემურ ბასილიამ „კომერსანტთან“ აღნიშნავს, რომ ეროვნულ ბანკს, როგორც საბანკო სექტორის მარეგულირებელ ორგანოს არ შეუსწავლია ბანკების ამ გადაწყვეტილებით დაირღვა თუ არა ანტიმონოპოლიური კანონი და მომხმარებლთა უფლებები.

„ბანკებმა გააკეთეს ის, რაც მათთვის, როგორც კომერციული სტრუქტურებისთვის სასარგებლოა. სამწუხაროდ, სახელმწიფო სტრუქტურებს არ შეუსრულებიათ მათზე კანონით დაკისრებული მოვალეობები. კერძოდ, ეროვნულ ბანკს, როგორც საბანკო სექტორის მარეგულირებელ ორგანოს არ შეუსწავლია ბანკების ამ გადაწყვეტილებით დაირღვა თუ არა ანტიმონოპოლიური კანონი და მომხმარებლთა უფლებები; ხოლო, სამართალდამცავებს არ დაუწყიათ მოკვლევა შესაძლო სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ფაქტზე. სწორედ ეს გახლავთ პრობლემა. ეროვნული ბანკი და სამართალდამცავები რომ თავის ადგილზე ყოფილიყვნენ და დაეწყოთ კანონით გათვალისწინებული მოქმედებები, კომერციული სტრუქტურები უფრო ფრთხილად იქნებოდნენ თავიანთ გადაწყვეტილებებში“, — აღნიშნა თემურ ბასილიამ.

საქალაქთაშორისო გადაყვანის 90 პროცენტი მიკროავტობუსებით ხორციელდება

ჭიათურა, ჭიათურა ორი კაციც და გავიდა...

ძუთაისი აძეთ, ძუთაისი...

თუ ერთხელ მაინც გაგივლიათ დიდუბის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ეს სიტუაცია თქვენთვის უცხო არ იქნება — ქაოსი, რომელიც თბილისის ავტოსადგურებში წლებია მოუგვარებელია. „კომერსანტი“ დაინტერესდა, ამ ქაოსში დაცულია თუ არა მგზავრთა უსაფრთხოების ელემენტარული პირობები და არის თუ არა გამართული საქალაქთაშორისო სატრანსპორტო საშუალებები.

„საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ ხელმძღვანელი **დავით მესხიშვილი** აცხადებს, რომ რეგიონებში საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება საფრთხის შემცველია. მისი თქმით, საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მდგომარეობა სავალალოა, საკითხით კი სახელმწიფო უწყებები არ ინტერესდებიან.

„საქალაქთაშორისო ტრანსპორტი კორონავირუსის გავრცელებამდეც და მას შემდეგაც კანონგარეშეა, პრაქტიკულად კანონის მოქმედებიდანაა გასული. სტრუქტურულად საკითხი ეკონომიკის სამინისტროს ეხება, მაგრამ კონკრეტული უწყების პოვნა, ვინ არის პასუხისმგებელი საგზაო უსაფრთხოების პოლიტიკაზე, კონკრეტულად საქალაქთაშორისო სამგზავრო ტრანსპორტზე გაგიჭირდებათ. ერთი რაც ვიცით, არის სადგურები, რომელთაც აქვთ ვალდებულება, რომ სადგურიდან გასული ტრანსპორტი იყოს უსაფრთხო, თუმცა ამის მონიტორინგს ვინ ახორციელებს, სრულიად გაუგებარია.

სანამ კორონავირუსთან დაკავშირებული აკრძალვები ამოქმედდებოდა, ჩვენ გვქონდა შემთხვევები, როდესაც მგზავრების რაოდენობა იყო გადატვირთული, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება მკაცრად არ მოეთხოვებოდათ, ამ სატრანსპორტო საშუალებებს გავლილი აქვთ თუ არა ტექდათვალიერება, ყოველთვის კითხვის ნიშნის ქვეშ არის. იგივე შეგვიძლია ვთქვათ შატილის ტრაგედიაზე, სამგზავრო ტრანსპორტზე გვაქვს საუბარი, რომელიც პერიოდულ ინსპექტირებაზე არ გამოცხადდა. მიკროავტობუსი ტექდათვალიერებაზე რომ მისულიყო დიდი ალბათობით, ტრაგედიას თავიდან ავირიდებდით. ეს ერთი მაგალითია, ხოლო ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში ეს მიმართულება არის მიშვებული და მასზე ზედამხედველობა არ არსებობს“, — განაცხადა დავით მესხიშვილმა.

საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ხელმძღვანელი ამბობს, რომ დღემდე ყველა პასუხისმგებელმა უწყებამ: სადგურებმა, შსს-მ, ეკონომიკის სამინისტრომ იცის, რომ საქართველოში მგზავრების 90 პროცენტის გადაყვანა სატვირთო მიკროავტობუსებით ხორციელდება, თუმცა პრობლემის მოუგვარებლად ქმედით ნაბიჯს არც ერთი სახელმწიფო უწყება არ დგამს.

„21-ე საუკუნეში მგზავრების გადაყვანა სატვირთო ტრანსპორტით ხდება და არა სამგზავრო ტრანსპორტით. ისე როგორც გადაიტანდით ნებისმიერ პროდუქტს, მაგალითად, კარტოფილს ან სამშენებლო მასალას. მგზავრები აი ამ გადაკეთებული სატრანსპორტო საშუალებებით გადაჰყავთ. გადაკეთება არ არის აკრძალული, მაგრამ პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებაზე ბევრი არ მიდის ან ისე აწესრიგებს ავტომობილს, რომ ინსპექტირება გაიაროს. დათვალიერების შემდეგ კი სკამს კუსტარულად ამატებს. მიკროავტობუსების აბსოლუტურ უმრავლესობაში ავარიული გასასვლელი ჩაკეტილია ან გაუქმებულია. ეს ყველასთვის ცნობილია. ადამიანები გადარჩებიან, თუ ეს საკითხები მოწესრიგებული იქნება, თუმცა რეაგირება არავის აქვს“, — განმარტავს დავით მესხიშვილი.

დავით მესხიშვილი აცხადებს, რომ დღეს სტანდარტი არ არსებობს. მისი თქმით, უნდა განისაზღვროს სტრუქტურა, რომელიც საქალაქთაშორისო გადაყვანაზე იქნება პასუხისმგებელი და კანონის აღსრულებას დაიწყებს.

დავით მესხიშვილი ამბობს, რომ არსებობს უკანონო, თვითორგანიზებული სადგომები, საიდანაც ე.წ. „ხიშნიკი“ მძღოლები გადიან, რომელებიც მგზავრებს გზადაგზა იყვანენ. მისი თქმით, ამით საგზაო უსაფრთხოების სტანდარტი მნიშვნელოვნად უარესდება. „ხიშნიკი“ მძღოლები, რომ დიდ პრობლემას წარმოადგენს ადასტურებს დიდუბის ავტოსადგურის ხელმძღვანელი **ნესტორ მიქატაძე**. „კომერსანტის“ კითხვაზე, ხდება თუ არა მგზავრების სტანდარტების დაცვით, უსაფრთხოდ გადაყვანა, მიქატაძე გვპასუხობს, რომ ქვეყანაში საკანონმდებლო ხარვეზებია და რეგულაციების დაცვა არ ხდება.

„სად არის ეს რეგულაციები? სად არის ევროდირექტივები? ამას ვითხოვ, რაც თანამდებობაზე მოვედი. სავალდებულო ნორმები რომ დავიცვათ, „ხიშნიკები“, რომ არ მოძრაობდნენ და კანონიერი გადასახადის გადამხდელები არსებობდეს. ამ ყველაფერს 5 წელია ვითხოვ და ვერაფერს მივაღწიე. ყველა ინსტანციას ვთხოვ რეგულაციების დაწესებას და საკითხის მოგვარებას. ნახევარი დიდუბის ტერიტორია რომ უკანონო მგზავრების გადაყვანით არის დაკავებული, ეს უნდა შეიცვალოს. ყველა სახის კომუნიკაცია მაქვს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი, მაგრამ პრობლემა დღემდე მოუგვარებელია“, — განუცხადა „კომერსანტს“ დიდუბის ავტოსადგურის ხელმძღვანელმა.

ნესტორ მიქატაძე ამბობს, რომ დიდუბის ავტოსადგურში არც ერთი სატრანსპორტო საშუალებაა არაა ისეთი, რომელსაც ტექდათვალიერება არ აქვს გავლილი:

საქართველოში საქალაქთაშორისო ტრანსპორტის პოლიტიკას ეკონომიკის სამინისტროში შემავალი სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო განსაზღვრავს. უწყება ვალდებულია, მგზავრთა გადაყვანის და ასევე ტვირთების გადატანის უსაფრთხოებაზე იზრუნოს. იმის გასარკვევად, კონკრეტულად რა ღონისძიებებს ახორციელებს სააგენტო, ეკონომიკის სამინისტოს დავუკავშირდით, თუმცა კითხვებზე პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია.

ბაჩო ადამია

◎ ტრიუმფის შემდეგ

არავითარი დასვენება!

ᲫᲐᲢᲐᲠᲨᲘ ტრიუმფით ტკბობის დრო სად არის?

დოჰაში გამარჯვებების შემდეგ ნიკოლოზ ბასილაშვილი უკვე დუბაიში იმყოფება, სადაც კარიერაში მესამედ ითამაშებს ATP 500 კატეგორიის ტურნირში, სადაც პირველ წრეში იმ ამერიკელ ტეილორ ფრიტცს შეხვდება, ვისაც წინა კვირაში ნახევარფინალური ბრძოლა მოუგო.

პირველად არაბულ კორტზე ნიკა 2019 წელს გამოვიდა და მეოთხედფინალში სამ სეტში დამარცხდა ხორვატ ბორნა ჩორიჩთან, ხოლო შარშან მეორე წრეში ორ პარტიაში წააგო გერმანელ იან-ლენარდ შტრუფთან. დავძენთ, რომ შარშანდელი ჩემპიონი ნოვაკ ჯოკოვიჩი წლეულს ტიტულს არ დაიცავს.

◎ კვარცხლბეკზე

„ბრინჯაო“ უნგრეთიდან

400-მდე მუშკეტერი შეიკრიბა ბუდაპეშტში, სადაც მოხმალავეთა პირად-გუნდური მსოფლიო თასი გათამაშდა,. მათ შორის 11 საქართველოს წარმოადგენდა.

ტრადიციისამებრ, გვასახელა ევროპის ოთხგზის პრიზიორმა და ტოკიოს ოლიმპიადის ლიცენზიატმა, საერთაშორისო რეიტინგის მეშვიდეადგილოსანმა **სანდრო ბაზაძემ,** რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ მან მეოთხედფინალური ბრძოლა მსოფლიოსა და ევროპის იტალიელ ჩემპიონ ერიკ ბერეს მოუგო, მაგრამ ნახევარფინალში მასპინძელთა ოლიმპიურ ჩემპიონ არონ სილადისთან დამარცხდა.

„სანდრომ შესანიშნავად იასპარეზა და დაგვარწმუნა, რომ ნებისმიერი ტურნირის საპატიო კვარცხლბეკზე შეუძლია ასვლა“ — ეს საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ბაზაძის სიტყვებია.

◎ რეტრო

მაღლიან კოლხეთში...

ახლახანს გამოჩენილ ქართველ მოჭადრაკეს ნანა იოსელიანს ოჯახმა, მეგობრებმა, კოლეგებმა და გულშემატკივრებმა დაბადების დღე მიულოცეს. ბუნებრივია, დიდოსტატი ქალბატონის ასაკს არ ვამჟღავნებთ, იმას კი გაუწყებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონობის ყოფილ პრეტენდენტს გაისად საიუბილეო თარიღი უსრულდება.

კი, მაგრამ ახალი რა უნდა ითქვას სახელოვან თანამემამულეზეო — იკითხავს, ალბათ, მკითხველი. გულახდილად გიპასუხებთ — ამის პრეტენზია არც გვაქვს, მაგრამ იმაში კი დარწმუნებულნი ვართ, რომ შემოთავაზებული სტრიქონების გახსენება სიამოვნებას მიანიჭებს როგორც ეროვნული სპორტის მშვენებას, ისე მისი ნიჭის უამრავ თაყვანისმცემელს.

მაშ ასე, ცხაკაიას რაიონულ გაზეთ „კოლხეთის“ 1983 წლის 28 მაისის ნომრის მე-4 გვერდზე გამოქვეყნებულ კარლო ტაბაღუას სტატიაში „ნანა იოსელიანი ცხაკაიაში“ ვკითხულობთ: „ვაჭრობის მუშაკებთან გამართული გულთბილი შეხვედრა გახსნა ქალაქვაჭრობის დირექტორმა ბადრი ბარკალაიამ. თავისი სპორტული ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებზე ისაუბრა რაიონში რამდენიმე დღით სტუმრად მყოფმა საჭადრაკო გვირგვინის ღირსეულმა პრეტენდენტმა, ხოლო ნანას მწვრთნელმა ოთარ ალხანიშვილმა მოგვითხრო ქართული საჭადრაკო სკოლის საყოველთაო აღიარებაზე, რომელსაც სათავე დაუდო სწორუპოვარმა ნონა გაფრინდაშვილმა“.

იმავე წერილიდან ვიგებთ, რომ საჭადრაკო კლუბ „მხედრულში“ გადანაცვლებულ დიდოსტატს მიესალმნენ რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე შოთა ჩიქობავა და ქალაქის მეშვიდე საშუალო სკოლის მოსწავლე ნანა გვასალია, შემდეგ კი გულშემატკივართა ფართო აუდიტორია 18 დაფაზე მოწყობილი ერთდროული თამაშის სეანსის დამსწრე აღმოჩნდა, საიდანაც ყაიმს მხოლოდ ქალაქის პირველი საშუალო სკოლის მეათეკლასელმა ვ. კოხიამ მიაღწია. საპატიო სტუმარს ძალიან მოწონებია აგრეთვე შეუპოვარი და სწრაფად მოაზროვნე მეხუთე საშუალო სკოლის მესამეკლასელი რ. სიჭინავა და მეორე საშუალო სკოლის მეექვსეკლასელი კ. თათარიშვილი, ხოლო თვით კლუბ „მხედრულით“ ისე მოხიბლულა, რომ აღუნიშნავს — რაიონებში მსგავსი არაფერი მინახავსო.

პუბლიკაციის დასასრულს ვიგებთ, რომ ნანა იოსელიანს დაუთვალიერებია ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ყოფილა ნოქალაქევის გათხრებზე და შეხვედრია რაიონის ხელმძღვანელობას.

დავძენთ, რომ რეპორტაჟს ამშვენებს შოთა ხარებავას ფოტოები.

სხვათა შორის, ნანა იოსელიანი ეგრისს 1985 წელსაც ეწვია და ადგილობრივი პრესა ამ მოვლენას საჭადრაკო კლუბ „მხედრულის“ დირექტორ ოთარ თვალთვაძის სტატიით გამოეხმაურა (14 თებერვალი).

საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ მიხეილ ქურდოვანიძის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა ამჯერადაც საჭადრაკო დაფებს მიაშურეს და დიდოსტატმა უკვე ყველა პარტია მოიგო (18), ხოლო 5-საათიანი მარათონული სეანსის მონაწილეთაგან სტუმარმა კარგი შეფასება მისცა მედგარი წინააღმდეგობის გამწევ მოსწავლეთა — ე. შონიას, თ. სკურიდინისა და კ. ჭანტურიას თამაშს...

◎ ევრობასკეტი

ჩრდილოელები - კავკასიაში

როგორც მოგეხსენებათ, გაისად საქართველო, გერმანია, იტალია და ჩეხეთი ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატს უმასპინძლებენ.

მომავალი ფორუმის წილისყრა 29 აპრილს კიოლნში მოეწყობა, ხოლო მანამდე ფიბამ მონაწილენი „ნაიკის“ რეიტინგის მიხედვით შემდეგ კალათებში გადაანაწილა (ჩვენ მსოფლიოში 36-ე პოზიციაზე ვართ).

I კალათა. ესპანეთი, სერბეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი. **II კალათა.** ლიეტუვა, რუსეთი, იტალია, ჩეხეთი. **III კალათა.** პოლონეთი, ხორვატეთი, თურქეთი, სლოვენია. **IV კალათა.** გერმანია, უკრაინა, ფინეთი, საქართველო. **V კალათა.** ბელგია, უნგრეთი, ისრაელი, ბრიტანეთი. **VI კალათა.** ბოსნია, ნიდერლანდები, ესტონეთი, ბულგარეთი.

ამთავითვე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თბილისის ჯგუფის ერთ-ერთი წევრი რუსეთის ნაკრები იქნება.

◎ ფავორიტი

მედლისთვის იბრძოლებს

კიდევ ერთხელ გაგვახარა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა გოგიტა არძანიამ (+84 კგ), რომელმაც სტამბოლში გამართულ პრემიერლიგის მორიგ ტურნირში მესამე ადგილი დაიკავა.



ამ წარმატებით ქართველმა კარატისტმა, შეიძლება ითქვას, რომ ოლიმპიური ლიცენზია გაინაღდა, რადგან თურქეთში გამგზავრებამდე 7080 სარეიტინგო ქულით ისედაც იკავებდა გამსვლელ მეექვსე ადგილს.

კახა ბასილია — საქართველოს კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი: **„ნახევარფინალში ირანელ საჯად განჯზადესთან არბიტრებს მეტი ობიექტურობა რომ გამოეჩინათ, გოგიტა, რომელიც პანდემიის მიუხედავად შესანიშნავ კონდიციებშია, აუცილებლად ოქროს მოიპოვებდა, თუმცა, ყველას აჩვენა, რომ ტოკიოს ოლიმპიადაზე თავის წონაში მედლის რეალური კანდიდატია“.**

გაზაფხულზე ჩვენი გუნდი ლისაბონის პრემიერლიგასა და ევროპის ჩემპიონატზე (ხორვატეთი) იასპარეზებს.

◎ ხსოვნა გულისა

მარად ჩვენთან

1987 წლის ზაფხულში უმცროსმა მეგობარმა ზურაბ კუჭუხიძემ საქართველოს მოცურავეთა ნაკრების წევრებთან — მამუკა გომართელთან და გოჩა რობაქიძესთან ერთად მოსკოვსა და ლენინგრადში ერთთვიან მოგზაურობაში მიმიწვია, „პაეზდკას“ რომ ვუწოდებდით მაშინ. სწორედ იმ დაუვიწყარ დღეებში მოხდა ახალგაცნობილ დუეტთან ჩემი დაახლოება, განსაკუთრებით — „კიკიჩასთან“, როგორც მამუკას ვეძახდით.



ჩვენს დაძმობილებას ხელი იზმაილოვოს პარკში ჩასვლისთანავე მომხდარმა ფაქტმა შეუწყო, სადაც ღია ცის ქვეშ მოწყობილ ესტრადაზე ინდოეთის კულტურის დღეები ეწყობოდა. როგორც კი იქაური ფოლკლორული ანსამბლის კონცერტს მივუახლოვდით, ჩვენი ყურადღება იქვე, შორიახლოს ველოსიპედზე დაყრდნობილმა „ნაკოლკებიანმა“, ერთ დროს თეთრ „მაიკაში“ გამოწყობილმა ასაკოვანმა „მუჟიკმა“ მიიპყრო, რომელიც განცხრომით ადევნებდა თვალ-ყურს საანახაობას და ინდური ჰანგებით ტკბებოდა.

წარმოიდგინეთ, ეს ტიპი ჰაერში რომ ავარდესო — „სატოპკე“ აგვიწია „კიკიჩამ“. ვერ გეტყვით, იმ მომენტში რამ დამიბინდა გონება და როგორ გავიმეტე პაპისტოლა კაცი, მაგრამ რამდენიმე წამში მისი „რკინის რაშის“ უკანა ბორბალს მართლაც გამოვდე ფეხი და...

ამ შემთხვევამ ჩვენს ურთიერთობაში ლენტის გაჭრის ფუნქცია შეასრულა და იმავე ღამეს სასტუმროს ერთ ნომერში დაბინავებით დაგვირგვინდა, რასაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა — როგორც ახალშექმნილი კვარტეტის უხუცესი წევრი, სწორედ მე განვაგებდი თბილისიდან წაღებულ „ჩეკუშკებისა“ და დაბეჭდილი სამარკო ღვინოების ბოთლების კოლექციას, რომელიც, ბუნებრივია, სტახანოვური ტემპებით ავითვისეთ.

სხვათა შორის, სწორედ ბოლო დღეებამდე სასწაულით შემორჩენილი მისი ნაშთებით ყელის ჩაკოკლოზინებას უკავშირდება ნევისპირა ქალაქში მომხდარი კურიოზული ფაქტი, სადაც ჩემი და მამუკას ანცობის გამო ზურას სიმწრით ნაშოვნი ბილეთი გაუუქმდა და ბილი ჯოილის კონცერტს ვერ დაესწრო. არა, ულამაზეს დახურულ საფეხბურთო-მძლეოსნურ კომპლექსში კი შემოაღწია, რომელიც 25 ათასი მაყურებლით გადავსებული იყო, მაგრამ ჩვენი გამოსარჩლება მოუხდა და წესრიგის დამცველებმა ის და გოჩა კონცერტის ბოლომდე დარბაზის სარდაფში, დაცვის სამსახურის „აპარტამენტებში“ აყურყუტეს.

ჩრდილოეთში ჩაყრილმა ნერგმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იხარა და მალევე, როგორც „გეპეის“ სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი, პრაქტიკაზე ყოფნისას ტყიბულიდან რაჭაში მეწვია, სადაც ონის რაიონული გაზეთის რედაქციაში ვმუშაობდი.

საერთოდ, მოყვასისთვის სიურპრიზის კეთება მისი საფირმო ნიშანი გახლდათ.

საილუსტრაციოდ თამუნასა და მისი სიყვარულის ისტორიაც კმარა, როცა ახალი წლის დღეებში თავისი რჩეულის თანხლებით პირველი ვიზიტი ვაჟა-ფშაველას გამზირზე ჩემს ოჯახში განახორციელა.

სამწუხაროდ, ამ 29 წლის სიკეთის განსახიერებამ ტრაგიკული სიურპრიზითაც დაგვამახსოვრა თავი. დიახ, სხვაგვარად ძნელია გადმოსცე ის გულისტკივილი, რომელიც მისმა ნაადრევმა დაღუპვამ მოგვაყენა, თანაც ეს თავზარდამცემი ამბავი სწორედ ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან შევიტყვე, რომელიც 1995 წლის 10 მაისს გადავშალე და ბოლო გვერდიდან ნეკროლოგთან თანდართულმა მისმა ფოტომ განმგმირა. თურმე, გიორგობას — 6 მაისს გამხდარა უკვდავების ბინადარი.

მამუკა გომართელის სიცოცხლე მის ღირსეულ მემკვიდრეში — მიშიკოში გრძელდება.

დღეს ჩვენს შეუხორცებელ იარას 55 წელი შეუსრულდებოდა.

ნათელი და სანთელი, „კიკიჩ“!

გია პლატონიშვილი

რას ითვალისწინებს პირველადი ჯანდაცვის რეფორმა?!

პირველადი ჯანდაცვის განახლებული სერვის პაკეტის ძირითადი მიზნებია: ციფრული ჯანდაცვის სერვისების გამოყენების გაფართოება, პირველადი ჯანდაცვის, როგორც კონტაქტის პირველი რგოლის გაძლიერება, ოჯახის ექთნის როლის გაზრდა, ინდივიდუალური რისკის შეფასება და ქრონიკული დაავადებების მართვა. კერძოდ, საგანმანათლებლო და საკონსულტაციო სერვისების დანერგვა პაციენტის უკეთესი თვით მართვის მიზნით, — ამის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა სილვიუ დომენტემ ისაუბრა.

მისი თქმით, პირველადი ჯანდაცვა, თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობისა და ჰოსპიტალური სექტორის განვითარების საფუძველია.

„ჩვენ დავესწარით პირველადი ჯანდაცვის საბჭოს ისტორიულ სხდომას, სადაც წარმოდგენილი იყო საქართველოს პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ე.წ. საგზაო გეგმა, რომელიც არის იმ ექსპერტთა ჯგუფის სიღრმისეული ანალიზის შედეგი, რომლებიც ამ გეგმის შემუშავებაზე მუშაობდნენ. ეს არის ერთობლივი ჯგუფი, რომლის წევრები არიან გამოცდილი ქართველი ექსპერტები. ჩვენ ჩავრთეთ საერთაშორისო ექსპერტებიც. რა თქმა უნდა, მანამდე განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაო. მე ვიტყოდი, რომ ამ ეტაპზე საქართველო მზად არის, გადადგას სათანადო ნაბიჯები და დაიწყოს ეს რეფორმა. ეს არ არის უბრალოდ სერვისების ჩამონათვალი, ეს არის საქართველოში პირველადი ჯანდაცვის ახალი ფილოსოფია, ვინაიდან ეს რეფორმა სცილდება მხოლოდ პაკეტის გადახედვას. ის ითვალისწინებს სრულიად ახალ მიდგომას, ექთნების როლის გაზრდასა და სერვისების ჰარმონიზაციას სოფელსა და ქალაქში. დღეს ჩვენ ვიმსჯელეთ იმასთან დაკავშირებით, რომ განხორციელდა სათანადო ანალიზი, შემუშავდა დეტალური საგზაო გეგმა და დადგა რეფორმის განხორციელების დრო“, — განაცხადა სილვიუ დომენტემ.

* * *

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტების მიერ მომზადებული პირველადი ჯანდაცვის რეფორმის სამოქმედო გეგმის წარდგინება გაიმართა, — ამის შესახებ ინფორმაციას ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, შეხვედრას ეკატერინე ტიკარაძე, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნია, ჯანდაცვის სფეროს ექსპერტი აკაკი ზოიძე და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი სილვიუ დომენტე ესწრებოდნენ.

ფუნდამენტური რეფორმა დაავადების დიაგნოსტიკას, მკურნალობას, პროფილაქტიკის კუთხით ღონისძიებების ხარისხის ამაღლებასა და ექიმების კვალიფიკაციას გულისხმობს. კერძოდ, მაღალხარისხიანი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული, პიროვნებაზე ორიენტირებული პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიწოდება ცალკეულ პირთა ჯანმრთელობის საჭიროებებს კიდევ უფრო გააუმჯობესებს.

ეკატერინე ტიკარაძის თქმით, პირველადი ჯანდაცვის რეფორმაზე სამინისტრომ საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად იმუშავა.

„პირველადი ჯანდაცვის რეფორმაზე, სამინისტრომ საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად იმუშავა. პროცესში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია აქტიურად იყო ჩართული. რეფორმა პირველადი ჯანდაცვის ექიმებისა და ექთნების გადამზადებასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას გულისხმობს. ეს ყველაფერი ჩვენი მოქალაქეებისთვის 1 ივნისიდან იქნება ხელმისაწვდომი“, - განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ.

ფრიდონ ინჯიამ სალომე ზურაბიშვილს ლევან მამალაძის შეწყალება სთხოვა

რა გახდა ლევან მამალაძის შეწყალება, რა დააშავა ამ კაცმა ასეთი, რომ 19 წელია ქვეყნიდან წასულია, — ამის შესახებ „ევროპელი სოციალისტების“ წევრმა, დეპუტატმა ფრიდონ ინჯიამ პლენარული სხდომაზე განაცხადა.

მან პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს საზღვარგარეთ მყოფი ყოფილი მაღალჩინოსნის შეწყალება სთხოვა.

„ჩვენი პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულების ამნისტირებაზე, თავისი პრინციპებითა და შეხედულებებით. იყვნენ მსჯავრდებულები, რომლებიც თხოვნით, შუამდგომლობით, სხვადასხვა პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე შეიწყალა. ხალხს, რომელსაც ჰქონდა მილიონები მითვისებული და ათასი სხვა რამ. რა გახდა ლევან მამალაძის შეწყალება. ადამიანი, რომელიც თითქმის 19 წელია საქართველოში არ არის. ლევან მამალაძე ჩემი არც მეგობარია, არც ნათესავია, მე მას უბრალოდ ვიცნობ და გული მტკივა. რა გააკეთა ამ კაცმა, რა ოქროს ზოდები წაიღო, თუ რამე მოიპარა ამ 19 წლის განმავლობაში, ხომ გამოჩნდებოდა. კანონის უზენაესობა თუ არ იქნება ყველას მიმართ, ჩვენ სამართლებრივ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ“, — განაცხადა ფრიდონ ინჯიამ.

მამალაძემ საქართველო „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დატოვა. სააკაშვილის ხელისუფლებამ მას ბრალად დასდო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის გამოძალვა და 2006 წელს 17 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

სასამართლომ ბუსა ჟვანიას 3-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა



საძართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას შვილს ბუსა ჟვანიას, რომელიც ბიზნესმენ გოგი თოფაძის შვილიშვილის ლევან თოფაძის განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს, სასამართლომ 3-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

სასამართლოს მიერ მისჯილი 3 წლიდან ჟვანია პენიტენციურ დაწესებულებაში 1,5 წელს გაატარებს, დარჩენი 1,5 წელი პირობითად ჩაეთვლება.

ვის სასარგებლოდ გაყალბდა არჩევნები?

ადრეც ვწერდი, მას შემდეგ, რაც ეს ჩვენი მომასლაათე პენსიონერები კოვიდპანდემიამ დედაქალაქის პარკ-ბაღებიდან უბოდიშოდ გამოძურწა, ჩემს ძველ მეგობარს გერონტი შალამბერიძეს ლაპარაკის იშტა აეღერღება თუ არა, მაშინვე ჩემთან გამორბის. გუშინ საღამოსაც დაუპატიჟებლად მესტუმრა და, როგორც კახელები იტყვიან, კაი გვარიანადაც „შავლაპარაკდით“. რა თქმა უნდა, ჩვენს აწეწილ-დაწეწილ პოლიტიკურ პროცესებსა და ძლივსღა წამოწყებულ კოვიდვაქცინაციას ვერც ამჯერად ავუცდეთ გვერდი.

— გერონტი, ძმაო, — ვეუბნები, — საქართველოს გახმაურებულ არჩევნებზე მთელი ამერიკა და ევროპა რომ დიდპატარიანად ალაპარაკდა, შენ რას ფიქრობ?

— ნეტავ, რა არის მანდ საფიქრალი?

— როგორ, კაცო, ერთხელ მაინც არ გაგჩენია კითხვა: ეს სკანდალური არჩევნები მართლა გაყალბდა თუ არ გაყალბდა?

— რატომ უნდა გამჩენოდა, როცა ვიცი, რომ ნამდვილად გაყალბდა!

— მერედა, ვის სასარგებლოდ გაყალბდა?

თითქმის ნატურიდან

— რა თქმა უნდა, ოპოზიციის სასარგებლოდ.

— ოპოზიციის სასარგებლოდ?

— სწორედაც რომ მაგ ტურამელიების სასარგებლოდ... რომ არ გაყალბებულიყო, აბა როგორ მიიღებდნენ ნაცები ხმების 27 პროცენტს, მაშინ როცა თვით NDI-მ მათ 5-პროცენტიანი რეიტინგი დაუწერა?

— აბა, თუ მაგათ მოიგეს არჩევნები, მაშ რატომ ამბობენ უარს არჩევნების შედეგების შემსწავლელ კომისიაში მონაწილეობაზე?

— იმიტომ რომ ეშინიათ, გადათვლის დროს ყუთებში ნაცების მხარეზე იმაზე ნაკლები ხმები არ აღმოჩნდეს, რამდენიც ოქმებშია.

— აბა ამერიკის ელჩს რაღას ერჩოდნენ ეგ ძაღლთაპირები, დაუნდობლად რომ აგინეს?

— ეტყობა, სწორედ მაგიტომ აგინეს, რეალური 5-პროცენტიანი შედეგი რომ დაუდო.

აი, თურმე რაში ყოფილა საქმე, კიდევ კარგი გერონტი ბინაზე მეწვია, თორემ ამ სიმართლეს ხომ ვერასდროს გავიგებდი(!).

სიზმარში ჩარჩენილი

თუმცა, მიღწეულით არ დავკმაყოფილდი და გერონტისგან სხვა რამეების დაცინცვლასაც შევეცადე.

— არჩევნები არჩევნებია, — ვუთხარი, — მაგრამ რას ფიქრობ კორონას ვაქცინაციაზე?

— რას უნდა ვფიქრობდე?

— აპირებ თუ არა აცრას?

— არავითარ შემთხვევაში, — თქვა თავის ქექვით.

— რატომ, კაცო, მსოფლიოს ჯანმოს რჩევას არ ენდობი?

— არა, თავად ვაქცინას არ ვენდობი. ასაკის მიუხედავად, თავს მშვენივრად ვგრძნობ და სათუოო სანდოობის ვაქცინას ფეხები რატომ უნდა გავაფშვეკინო?

— ესე იგი, სასტიკ უარზე ხარ?

— ვარ, მაგრამ წუხელ ისეთი რამ დამესიზმრა...

— რაო, მაინც რა დაგესიზმრა?

— შუაღამისას ვიღაცები დამადგნენ თავზე, სასწრაფოში ჩამსვეს და წამიყვანეს.

— სად წაგიყვანეს?

— რომელიღაც ჩემთვის უცნობ კლინიკაში და მაიძულეს, ვაქცინა გამეკეთებინა.

— არ უთხარი, რომ ვაქცინაცია ნებაყოფლობითია?

— როგორ არა, მაგრამ ნებაყოფლობითი რომ არის, სწორედ მაგიტომ ვაძლევთ უფლებას, აირჩიო ამათგან რომელი გაგიკეთოთო.

— მერე, აირჩიე?

— ვერა, ირგვლივ იმდენი ვაქცინა ეყარა (ამერიკული, ბრიტანული, გერმანული, ინდური, ჩინური), რომ თვალები ამიჭრელდა. თანაც ვიღაცამ რუსული ვაქცინა მოითხოვა და იქ იმისთანა აყალმაყალი და ჩხუბი ატყდა, რომ არჩევნის თავი სადღა მქონდა.

— მერე, უფროსთაგან არავინ იყო, რომ მდგომარეობა განემუხტა?

— როგორ არა, თავად ჯანდაცვის მინისტრი, ქალბატონი ეკატერინე ტიკარაძე საკუთარი თვალით უყურებდა იქ შექმნილ სეირს.

— კარგია, რომ მაგ ამბავს შესწრებია. არაფერი მოიმოქმედა?

— როგორ არა, მოჩხუბრებს ამშვიდებდა, ვაქცინა იმდენი გვაქვს შემოტანილი, ყველას გაგწვდებათო!

— ბოლოს და ბოლოს, შენ ვაქცინა გაგიკეთეს თუ არა?

— ვერ გეტყვი, იმ ჩხუბსა და გაწევ-გამოწევაში ვიღაცამ მუშტი მთხლიშა, გამომეღვიძა და სიზმარიც დამთავრდა.

მე კი უმალვე ვიგუმანე: გერონტი მაიმუნობს, ნემსის გაჩხერა მშვენივრად ახსოვს, მაგრამ განგებ ცრუობს, არ უნდა თავი სიკვდილ-სიცოცხლის რისკის ქვეშ დააყენოს.



ოთარ ხუციშვილი

ყველაზე შემოსავლიანი ფილმი

ჯეიმს კემერონის „ავატარმა“ მსოფლიოში ყველაზე შემოსავლიანი სურათის სტატუსი დაიბრუნა.

ორი დღის წინ 2009 წლის ფილმის განმეორებითი ჩვენება ჩინეთის კინოთეატრებში დაიწყო და შედეგად მისმა საერთო შემოსავალმა 2 მილიარდ 798 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

მანამდე რეკორდის მფლობელი Marvel-ის „შურისმაძიებლები – ფინალი“ იყო. სურათმა სუპერგმირების შესახებ მსოფლიოში 2 მილიარდ 797 მილიონ დოლარზე მეტი შეაგროვა და 2019 წელს ყველაზე შემოსავლიანი ფილმის ტიტული სწორედ „ავატარს“ წაართვა. ახლა ჯეიმს კემერონი და მისი გუნდი „ავატარის“ სამყაროს 4 ფილმზე მუშაობენ. „ავატარი 2“ ეკრანებზე – 2022 წლის 16 დეკემბერს გამოვა, მესამე ნაწილი – 2024 წლის დეკემბერში, მეოთხე – 2026 წელს, „ავატარი 5“ – კი 2028 წლის დეკემბერში.

„ოსკარის“ 2021 წლის ნომინანტები

ამერიკის კინოაკადემიამ „ოსკარის“ დაჯილდოების 93-ე ცერემონიის ნომინანტები დაასახელა.

გამოცემის ინფორმაციით, საუკეთესო ფილმის კატეგორიაში წარდგენილია სურათები: „მამა“, „მანკი“, „მინარი“, ნომადლენდი“, „მეტალის ხმა“, „იმედისმომცემი ახალგაზრდა ქალი“.

საუკეთესო რეჟისორის ტიტულისთვის ერთმანეთს ქლოი ჟაო, ემირალდ ფენელი, ტომას ვინტენბერგი, დევიდ ფინჩერი და ლი აიზეკ ჩუნი **შეეჯიბრებიან. ცერემონიის ისტორიაში პირველად ამ კატეგორიაში ერთ ქალზე მეტია წარდგენილი.**

ნომინაციაში „საუკეთესო მსახიობი ქალი“ წარდგენილნი არიან: ვიოლა დევისი, ანდრადეი, ვანესა კირბი, ფრენსის მაკდორმანდი და კერი მალიგანი.

ნომინაციაში „საუკეთესო მსახიობი კაცი“ კი სერ ენტონი ჰოპკინსი, ჩედვიკ ბოუზმანი, რიზ აჰმედი, გარი ოლდმანი და სტივენ იონი **არიან წარდგენილნი.**

პანდემიის მიუხედავად, „ოსკარის“ დაჯილდოების ცერემონია ლოს-ანჯელესში DolbyTheatre-ში ჩვეულ ფორმატში ჩატარდება.

სად გაქრა გალილეის ტრაქტატი?

ესპანეთის ეროვნული ბიბლიოთეკა 4 წლის განმავლობაში მალავდა გალილეო გალილეის ტრაქტატის ქურდობის ამბავს.

საქმე ეხება 1610 წელს გამოქვეყნებულ „Sidereus nuncius“ ტრაქტატს, რომელიც 800 ათას ევროდ არის შეფასებული.

SIDEREVS
NVNCIVS
MAGNA, LONGEQVE ADMIRABILIA
Spectacula pandens, suspiciendaque proponens
vnicuique, præsertim verò
PHILOSOPHIS, atq; ASTRONOMIS, quæ à
GALILEO GALILEO
PATRITIO FLORENTINO
Patauini Gymnasij Publico Mathematico
PERSPICILLI
Nuper à se reperti beneficio sunt obseruata in LVNÆ FACIE, FIXIS IN-
GALAXIA, LACTEO CIRCVLO, STELLIS NEBVLOSIS,
Apprime verò in
QVATVOR PLANETIS
Circa IOVIS Stellam disparibus interualis, atque periodis, celeritate mirabili circumuolutis; quos, nemini in hanc vsque diem cognitos, nouissimè Author depræhendit primus; atque
MEDICEA SIDERA
NVNCVPANDOS DECREVIT.
VENETIIS, Apud Thomam Baglionum. M DC X.
Superiorum Permissu, & Priuilegio.

გაზეთი „EL Pais“-ი ირწმუნება, რომ დოკუმენტი 2014 წელს გაუჩინარდა. მიუხედავად ამისა, 2018 წელს ჩატარებულ გამოფენაზე მისი ყალბი ასლი, როგორც ორიგინალი ისე წარმოადგინეს.

ბიბლიოთეკის დირექტორი ანა სანტოსი ირწმუნება, რომ 2018 წლამდე ტრაქტატის ქურდობის ამბავი არ იცოდა. ეს ინფორმაცია მას დოკუმენტზე მომუშავე რესტავრატორმა სწორედ ამ დროს ამცნო.

ქურდობაში ურუგვაის მოქალაქეა ეჭვმიტანილი, რომელიც დაინტერესებული იყო ამ ტრაქტატით და 2004-2007 წლებში კიდევ სხვა ორი დოკუმენტის მოპარვის მცდელობაში გახლდათ შემჩნეული.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

დაბეჭდილი სახლები

ჩვენს საუკუნეში უკვე არაფერია გასაკვირი. ამერიკის შეერთებული შტატების თვალწარმტაც მხარეში, შტატ კალიფორნიაში, სულ მალე 3-D ტექნოლოგიით შექმნილი მიკროუბანი გაჩნდება.

საამშენებლო კომპანია „Mighty Buildings“ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით გეგმავს ე. წ. „დაბეჭდილი სახლების“ მშენებლობას. 3-D პრინტერს წარმოუდგენელი შესაძლებლობები აქვს, მისი გამოყენება მშენებლობაში დიდ პერსპექტივებს გვაძლევს – აცხადებს მშენებელი ფირმა.

ეს მიკროუბანი კალიფორნიის ქალაქ „რანჩო-მირაჟში“ შენდება. თავდაპირველად 200 კვ. მეტრზე 15 ასეთ „დაბეჭდილ სახლს“ ჩადგამენ. პროექტის ღირებულება 15 მილიონი დოლარია.

მეცამეტე საუკუნის სასახლე... პენსიონერის ბაღში

ინგლისელმა ჩარლზ პოულმა თავის ბაღში შუა საუკუნეების სასახლის ნანგრევები აღმოაჩინა.

პენსიონერმა, რომელიც ქალაქ ვავილისკომბში ცხოვრობს, ბაღის ტერიტორიაზე პატარა სახლის აშენება გადაწყვიტა და ამისთვის შესაბამისი ნებართვაც მიიღო. თუმცა როცა ბაღში გათხრები დაიწყო, მუშებმა მე-13 საუკუნით დათარიღებული სასახლის ნანგრევები აღმოაჩინეს.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ სასახლე ადგილობრივმა ეპისკოპოსმა ააშენა, მე-18 საუკუნეში კი ნაგებობა დაინგრა. შემდეგ ნანგრევების კვალი დაიკარგა. თავად პოული ისტორიული აღმოჩენით გახარებული არ არის.

„სახლის გაყიდვას ვგეგმავდი და ბაღში ჩემთვის პატარა ბუნგალოს აშენება მინდოდა. როცა მუშებმა ნანგრევები აღმოაჩინეს, სამუშაოების შეწყვეტა მოუწიათ. მიხარია, რომ ჩემს მიწაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა გაკეთდა, მაგრამ ექსპერტიზის ჩატარება 15 ათასი გირვანქა სტერლინგი მიჯდება და ბუნგალოს მშენებლობის პროცესს აყოვნებს“, – ამბობს პენსიონერი.

უარი - ბენზინს!

„მინი-კუპერის“ მფლობელი კონცერნი „BMW AG“ თავისი მოდელების ელექტრომანქანებად გარდაქმნას გეგმავს.

კონცერნის მთავარი შემსრულებელი დირექტორი ოლივერ ციპსე აცხადებს, რომ მომდევნო 9 წლის განმავლობაში, ბენზინზე მომუშავე „მინის“ მოდელები აღარ იარსებებს.

ბოლო მოდელი, რომელსაც შიდა წვის ძრავა ექნება, 2025 წელს გამოვა. 2027 წლისთვის კი უკვე მათი პროდუქციის ნახევარი ელექტრომანქანებად გარდაიქმნებიან.

კომპანიამ სულ ახლახან წარადგინა „მინის“ ინოვაციური ელექტრომანქანა, უპილოტო მართვის ელემენტებით. მისი წარმოებაში ჩაშვება 2027 წელს იგეგმება.

ვაქცინის მიღება იმპროვიზირებულად

ცნობილმა ამერიკელმა ჩელისტმა იო-იო მამ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის მეორე დოზის მიღების შემდეგ კონცერტი გამართა..

65 წლის იო-იო მამ ვაქცინა პიტსფილდში, ბერკშირის კოლეჯში მიიღო. აცრის შემდეგ მუსიკოსი მოსაცდელში გადაიყვანეს, სადაც თავის რიგს სხვა მოქალაქეები ელოდნენ. იო-იო მამ მათთვის და მედიკოსებისთვის პატარა კონცერტის ჩატარება გადაწყვიტა.

მუსიკოსმა „ავე მარია“ და ბახის პრელუდია ლა მინორში შეასრულა.

მოამზადეს
რუსუდან ქოგულიამ და კახა ქორიძემ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 19 მარტს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.3204; ევრო - 3.9609;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.6250;
100 რუბლი - 4.5435; თურქული ლირა - 0.4418;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9511;
1000 სომხური დრამი - 6.2957.

ამინდი 17 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+15
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+1	დღე	+17
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+16

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge